7631

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. ქ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

სამშაბათი
20 აგვისტო
1940 წ.
№ 192 (5893)
ფასი 10 კაპ.

ცუდი ხარისხის პროდუქციის გამოშვება მავნებლობას უდრის

1940 წლის 10 ივლისს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო ბრძანებულება სამრეწველო საწარმოთა მიერ ცუდი ხარისხის ან არაკომპლექტური პროდუქციის გამოშვებისათვის და სავალდებულო სტანდარტების დაუცველობისათვის პასუხისმგებლობის შესახებ. ბრძანებულება აწესებს რომ ცუდი ხარისხის ან არაკომპლექტური პროდუქციის გამოშვება და სავალდებულო სტანდარტების დარღვევით პროდუქციის გამოშვება წარმოადგენს სახელმწიფოს საწინააღმდეგო დანაშაულს, რომელიც მავნებლობას უდრის.

სოციალისტური ინდუსტრია შეიარაღებულია მოწინავე ტექნიკით, ჩვენი ქვეყნის ნედლეული სიმდიდრენი დაუშრეტელია. ლენინ-სტალინის პარტიამ აღზარდა მუშაკთა შესანიშნავი კადრები. თვითეულ სოციალისტურ საწარმოს საუცხოო პროდუქციის გამოშვების ყველა შესაძლებლობა აქვს. საბჭოთა პროდუქცია ყველაზე უკეთესი უნდა იყოს! ბოლშევიკ-დირექტორს, ბოლშევიკ-ინჟინერს თავისი ღირსების საქმედ მიაჩნია ისეთი პროდუქციის გამოშვება, რომელიც არათუ არ ჩამორჩება მსოფლიო ნიმუშებს, არამედ კიდეც სჭარბობს მათ. ის სამეურნეო ხელმძღვანელი, საწარმოს დირექტორი, მთავარი ინჟინერი, ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსი, რომელიც უშვებს ცუდი ხარისხის პროდუქციას, მძიმე დანაშაულს ჩადის სახელმწიფოს წინაშე, ხალხის წინაშე.

ამ დღეებში მოსკოვში სასამართლოს წინაშე წარსდგნენ სარეწაო კოოპერატიული არტელის „ავტოპრიბორის" თავმჯდომარე მაკარიჩევი, ტექნიკური ხელმძღვანელი სუკოვი და ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსი სოკოლოვი. ისინი მომხმარებლებს უგზავნიდნენ ათასობით უვარგის, გაფუჭებულ, წუნიან კონდენსატორს. დამნაშავეებმა, რომლებიც უგულებელყოფდნენ სახელმწიფოს ინტერესებს და თავიანთი უმსგავსო მუშაობით ზიანს აყენებდნენ ქვეყანას, დამსახურებული სასჯელი მიიღეს. მაკარიჩევს მიესაჯა ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთა, სუკოვს—ექვსი წლით და სოკოლოვს—რვა წლით, სასჯელის მოხდის შემდეგ ხუთი წლით უფლებების აყრით. განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ამ პროცესის ერთი დეტალი. არტელის გამგეობის თავმჯდომარემ, საწარმოს ხელმძღვანელმა მაკარიჩევმა, მძიმე მამხილებელი საბუთებით გამოუვალ ჩიხში მომწყვდეულმა, პასუხისმგებლობის შესახებ შეკითხვაზე განაცხადა:

— როგორც საწარმოს ხელმძღვანელი და როგორც პარტიის წევრი საწარმოსათვის პასუხისმგებლობას ვკისრულობ, მაგრამ წუნისათვის პასუხს არ ვაგებ.

მარტო ამ პასუხით მაკარიჩევმა გამოამჟღავნა თავისი თავი, როგორც ადამიანმა, რომელიც არ არის ღირსი იყოს საბჭოთა საწარმოს ხელმძღვანელი და, უკვე თავისთავად იგულისხმება, ბოლშევიკების პარტიის წევრი.

ჩვენ, ბოლშევიკებს, ამბობს ამხანაგი სტალინი წესად არა გვაქვს პასუხისმგებლობაზე უარის თქმა. სამეურნეო მუშაკებს ხალხი უდიდეს ნდობას უცხადებს, ეს კი მათ შესაბამისად დიდ მოვალეობას, პასუხისმგებლობას აკისრებს. პასუხისმგებლობიდან თავის დაძვრენა ეწინააღმდეგება ბოლშევიკურ სულისკვეთებას. და თვითეული დირექტორი, მთავარი ინჟინერი, ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსი, პარტიულია იგი თუ უპარტიო, ვინაიდან მას ხალხმა ანდო საწარმოს ხელმძღვანელობა, ვალდებულია პატიოსნად შეასრულოს თავისი მოვალეობა ხალხის წინაშე და სრული პასუხისმგებლობით შეასრულოს თავისი საპატიო სახელმწიფო სამუშაო.

დირექტორი საწარმოს სრულუფლებიანი ხელმძღვანელია. იგი პასუხს აგებს ყველაფრისათვის — რაოდენობრივი გეგმის შესრულებისათვის, პროდუქციის ხარისხისათვის, მისი თვითღირებულებისათვის, საწარმოში დისციპლინის დამყარებისათვის, შრომის მაღალი ნაყოფიერებისათვის. ასეთი დირექტორები ჩვენ ცოტა როდი გვყავს. მთავრობა მათ ორდენებით აჯილდოებს, მთელი ჩვენი ქვეყანა კი—პატივსცემით. მაგრამ დღემდე მაინც არსებობენ ისეთი სამეურნეო მუშაკები, რომლებიც „იმისათვის, რომ რაც შეიძლება მალე დაწინაურდნენ, თავი მოიწონონ თუნდაც ერთი მომენტით... ადგებიან სიყალბის, სახელმწიფოს მოტყუების გზას" (მოლოტოვი). ასეთი უვარგისი ხელმძღვანელები რაოდენობრივი მაჩვენებლებისადმი გამოდევნებით უშვებენ ცუდ პროდუქციას, ატყუებენ სახელმწიფოს.

„პრავდაში" ამასწინათ იტყობინებოდნენ გორკის ქარხნის „კრასნაია ეტნას" წუნისმკეთებელთა შესახებ, რომლებიც მიცემულნი იყვნენ სასამართლო პასუხისგებაში. უკვე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების გამოსვლის შემდეგ ქარხნის დირექტორი მაკაროვი და ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსი ალპეროვიჩი განაგრძობდნენ საავტომობილო ქარხნებში უვარგისი ჭანჭიკების, ქანჩების, სარჭების და ავტომობილებისათვის საჭირო სხვა წვრილმანი დეტალების გზავნას, თუმცა მათ არ შეეძლოთ არ სცოდნოდათ, რომ პატარა გაფუჭებულ სარჭსაც კი შეუძლია გამოიწვიოს მანქანის დამტვრევა, უვარგის ჭანჭიკს—ავარია. ამ დღეებში აგრეთვე იტყობინებოდნენ, სსრ კავშირში უდიდესი, ქალის ტუფლის დამამზადებელი ლენინგრადის ფაბრიკა „პროლეტარსკაია პობედას" წუნისმკეთებელთა შესახებ. ამ ფაბრიკის 11.200 წყვილი ფეხსაცმლიდან, რაც ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მოსკოვის ცენტრალურმა უნივერმაღმა მიიღო 2.240 წყვილი არ შეესაბამებოდა სტანდარტს, ხოლო 616 ამათგან სრულიად უვარგისი აღმოჩნდა. შეგვიძლია კიდევ მოვიყვანოთ ბევრი სხვა ფაქტი, რომლებიც გვიჩვენებენ, რომ წუნისმკეთებლები არ ცხრებიან.

ასე, მაგალითად, პენზის საათის ქარხანამ მოსკოვის ცენტრალურ უნივერმაღში გამოგზავნა 300 მაჯის საათი, რომელთაგან 94 დაუყოვნებლივ დაწუნებულ იქნა. კოლომნის გრამაფონის ქარხანამ გამოგზავნა 713 პატეფონი, ამათგან 279 დაწუნებულ იქნა. მოსკოვის ქარხანამ „კრასნი შტამპოვშჩიკმა" გასაყიდად გამოგზავნა ემალირებული ჭურჭლის პარტია, მაგრამ ამ ჭურჭლის თითქმის მესამედი დაწუნებულ იქნა.

ეს ფაქტები მოწმობენ იმას, რომ ზოგიერთმა დირექტორებმა, მთავარმა ინჟინრებმა და ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსებმა დღემდე არ გააკეთეს საჭირო დასკვნები სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმის 10 ივლისის ბრძანებულებიდან. პროკურატურისა და სასამართლოს ორგანოები ვალდებულნი არიან ყველა ზომა მიიღონ იმისათვის, რათა ბრძანებულება ზუსტად სრულდებოდეს და მისი დამრღვევნი დაუსჯელი არ რჩებოდნენ.

სავაჭრო ქსელში უვარგისი პროდუქციის გაშვება მოწმობს იმას, რომ ტექნიკური კონტროლის განყოფილებები ბევრ საწარმოში ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ. მთელ რიგ საწარმოში არ არის განმტკიცებული კონტროლიორების შტატი, და მათს შორის არიან ნაკლებკვალიფიციური ადამიანები, ანდა სრულიად არაკვალიფიციურნიც. ცნობილია, მაგალითად, რომ ქარხანა „მანომეტრის" ტექნიკური კონტროლის განყოფილებაში ხშირად გზავნიდნენ იმ მუშაკებს, რომლებიც უვარგისნი იყვნენ სხვა სამუშაოზე. საჭიროა განვამტკიცოთ კონტროლიორების კადრი და შევაგნებინოთ ტექნიკური კონტროლის განყოფილების თვითეულ მუშაკს, თუ რა უდიდესი პასუხისმგებლობა აკისრია მას სახელმწიფოს წინაშე. კონტროლიორის მიერ უვარგისი პროდუქციის გაშვების არცერთი შემთხვევა არ უნდა დარჩეს და შეუძლებელია დარჩეს შეუმჩნეველი.

10 ივლისის ბრძანებულება ზოგიერთი დირექტორისათვის, მთავარი ინჟინერისა და ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსისათვის მოულოდნელი იყო. ანეკდოტს ჰგავს, მაგრამ ფაქტია, რომ როდესაც ბრძანებულების გამოსვლის შემდეგ მოსკოვის ავტოქარხნის ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსმა ამხ. პოტაშნიკმა საჩქაროდ იწყო ზოგიერთი ტიპის მანქანებისათვის სტანდარტების ძებნა. მან ისინი ვერც კი იპოვა. მთელრიგ საწარმოში იწყეს პროდუქციის გაჩერება და წარმოების შემცირებაც კი, რათა „წესიერი სახე მიეღოთ". ბრძანებულების გამოსვლამ, ბუნებრივია, მოითხოვა მუშაობის ერთგვარი გარდაქმნა იმ საწარმოებში, სადაც უშვებდნენ ცუდ პროდუქციას, მაგრამ კარგ სამეურნეო მუშაკებს შეუძლიათ ასეთი გარდაქმნა სწრაფად მოახდინონ. პარტია და მთავრობა არავის არ მისცემენ ნებას რაოდენობის გამოდევნებით ცუდი პროდუქცია გამოუშვან. პარტია და მთავრობა აგრეთვე არავის მისცემენ საშუალებას შეამცირონ პროდუქციის რაოდენობა, არ შეასრულონ გეგმა. რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლებისათვის ბრძოლა განუყრელია!

10 ივლისის ბრძანებულების შესრულება მჭიდროდ უკავშირდება 8-საათიანი სამუშაო დღის და შვიდდღიანი სამუშაო კვირის დაწესებისა და საწარმოებიდან და დაწესებულებებიდან მუშებისა და მოსამსახურეების თვითნებურად წასვლის აკრძალვის შესახებ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 26 ივნისის ბრძანებულების რეალიზაციას. სადაც ცუდია დისციპლინა, იქ ირღვევა პროგრამა, იქ ჰყვავის წუნისმკეთებლობა. თვითეულ ქარხანაში და თვითეულ საამქროში ბოლშევიკური წესრიგის დამყარება, შრომის დისციპლინის დამრღვევთა პასუხისგებაში მიცემა ყოველი საწარმოს ნორმალური საქმიანობის პირველი და აუცილებელი პირობაა. მუშაობის თვითეული დამატებითი საათი უნდა გამოყენებულ იქნას არა მარტო წარმოების გადიდებისათვის, არამედ აუცილებლად პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და თვითღირებულების შემცირებისთვისაც. 26 ივნისის ბრძანებულებამ, მწვავედ ურტყამს რა დენადობას, მრეწველობაში სტაბილური კადრების შექმნაში დახმარებით უდიდესი შესაძლებლობანი მოგვცა მრეწველობის მუშაობის ყველა ეკონომიური მაჩვენებლის გაუმჯობესებისათვის.

არაკეთილხარისხოვანი და არასტანდარტული პროდუქციის გამოშვება ნიშნავს ნედლეულისა და მასალის დაღუპვას, მუშების შრომის განიავებას და საწარმოო მოწყობილობის ფუჭად ტრიალს. არაკეთილხარისხოვანი და არასტანდარტული პროდუქციის გამოშვება ნიშნავს ქვეყნის სამეურნეო და თავდაცვითი ძლიერების შესუსტებას, სახელმწიფოსა და ხალხისათვის ზიანის მიყენებას. ამიტომ პარტია, საბჭოთა ხელისუფლების ორგანოები და მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობა იბრძოლებენ ამ მოქმედების წინააღმდეგ, რომელიც სახელმწიფოს საწინააღმდეგოა და მავნებლობას უდრის.

„პრავდის" მოწინავე, 17/VIII

საბჭოთა ავიაციის დღე

დღესასწაულობა ვ. პ. ჩკალოვის სახელობის ცენტრალურ აეროკლუბის აეროდრომზე

ავიაცია საბჭოთა ხალხის საყვარელი ქმნილებაა. ჩვენი დიადი ქვეყნის მშრომელებს უყვართ თავიანთი მფრინავები. ალტაცებული არიან მათი საგმირო საქმეებით, ამაყობენ ჩვენი წითელი საჰაერო ფლოტის ძლიერებით. 18 აგვისტოს დღე საბჭოთა ავიაციის ტრადიციულ დღესასწაულად, ერთერთ უაღრესად პოპულარულ სახალხო დღესასწაულად იქცა. სტალინური შავარდნები ხალხს, ბოლშევიკურ პარტიასა და საბჭოთა მთავრობას, დიდ სტალინს ამ დღეს ანგარიშს აბარებენ თავიანთ მიღწევებსა და ოსტატობაში, თავიანთ მზადყოფნაში — ყოველ წუთს აფრინდნენ ჰაერში, რათა დაამარცხონ მტერი, რომელიც გაბედავს საბჭოთა კავშირის წმინდათა-წმინდა საზღვრებზე თავდასხმას.

1940 წელს ავიაციის დღე განსაკუთრებით ფართოდ და ზეიმით ჩატარდა.

მთელს თვალუწვდენ ქვეყანაში — მოსკოვში, ლენინგრადში, კიევში, მინსკში, რიგაში, ტალინში — წყნარი ოკეანის სანაპიროებიდან კარპატის მთებამდე, რიბაჩის ნახევარკუნძულიდან ლურჯ დუნაიმდე, რიგის ყურიდან პამირის მწვერვალებამდე საბჭოთა ხალხების მრავალმილიონიანი, მრავალფეროვანი მეგობრული ოჯახი სიყვარულითა და სიამაყით შეჰყურებდა ცას, სტკბებოდა თავისი ფრთამარდი შავარდნებით, მიესალმებოდა მათს სწრაფ ფრენას, მათ განსაცვიფრებელ ოსტატობას, მათი სამხედრო სულისკვეთების შეუდრეკელ ძალას.

ასი ათასობით მოსკოველი დილიდანვე გაეშურა ტუშინოს ვ. პ. ჩკალოვის სახელობის ცენტრალური აეროკლუბის აეროდრომზე.

აეროკლუბის მთავარი შენობის ტრიბუნებზე იყვნენ საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის წევრები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, საბჭოთა კავშირის გმირები, სახალხო კომისრები, წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის უმაღლესი სარდლობის წარმომადგენლები, დედაქალაქის პარტიული და საბჭოთა აქტივი, მოსკოვის ფაბრიკა-ქარხნების წარჩინებული სტახანოველები, ინტელიგენციის წარმომადგენლები. სტუმრებს შორის არიან დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები. შენობის ფრონტონზე გამოკრულია ამხანაგ სტალინისა და მისი თანამებრძოლების—პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელების ვეებერთელა ლამაზი პორტრეტები. წითელ ფონზე გამოსახულია თითეული საბჭოთა პატრიოტის გულისნადები სიტყვები:

— გაუმარჯოს და განმტკიცდეს ჩვენი მძლავრი სამშობლო — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი!

მთავრობის ლოჟაში სხედან ამხანაგები—**სტალინი, მოლოტოვი, ვოროშილოვი, კაგანოვიჩი, ანდრეევი, მიქოიანი, ჟდანოვი, შვერნიკი, ბერია, მალენკოვი, ტიმოშენკო, შკირიატოვი, შჩერბაკოვი, ბულგანინი, ბუდიონი, კულიკი, მერეცკოვი, მეხლისი, პრონინი** და სხვ.

სრულ 15 საათზე იწყება დღესასწაული. ყველას თვალი მიპყრობილია მოსკოვ-ვოლგის არხისაკენ. იქიდან მოისმის მოტორების მზარდი გუგუნი. რკინიგზის ვაკისის ყრილს იქიდან ჩნდებიან თავდაცვაავიაქიმის ავიაციის ესკადრილიები. ისინი სამსართულიან წყობად მოდიან. ზემოთ „ცხრიანებად" ჩამწკრივებული „უ-2" თვითმფრინავებია, მათ ქვეშ მოფრინავენ „უტ-1" და „უტ-2" ქვემოთ, მაყურებელთა ზედ თავზე ავიაგამანადგურებლები მოგუგუნებენ. 280-ზე მეტს თავდაცვაავიაქიმელ პილოტს მოჰყავს ეს ხომალდები, ბრწყინვალედ ცხადჰყოფს საწვრთნელი და საბრძოლო მანქანების მართვის უნარს. უნაკლო წყობით ისინი მაყურებელთა ალტაცებას იწვევენ.

ამ შესანიშნავი დღესასწაულის ყველა მონაწილე ალტაცებით აკვირდებოდა, თუ რა უზადოდ და ზუსტად შესრულა უმაღლესი პილოტაჟის ფიგურები ქალთა ხუთეულმა, ცნობილი რეკორდსმენის ევგენია პროხოროვას ხელმძღვანელობით. სასწავლო-სატრენირო მანქანების ხუთეულმა აეროდრომს კილვატერულ კოლონად გადაუარა და სიჩქარის მოუკლებლად „მარყუჟში შევიდა". ერთი მეორეზე პატარა „იხვებმა", ასე უწოდებენ მფრინავები ამ მანქანებს, წრეხაზს შემოუტრიალეს და ბორბლის სრული ილუზია შექმნეს, წრეხაზის უმაღლესი წერტილის მიღწევისას თვითმფრინავებმა მრავალგზის გააკეთეს ფრთაზე ორმაგი და სამმაგი გადატრიალება. ერთი თვითმფრინავი ნორმალური მდგომარეობით მიდიოდა, მეორე მის თავზე გულაღმა მიფრინავდა. პილოტების თავებს რაღაც 7-8 მეტრი აშორებდა. ეს ნომერი იმდენად ზუსტად შესრულეს, რომ გვეგონებოდათ თითქოს თვითმფრინავები უხილავი ძაფებით არიან დაკავშირებულნიო. მაყურებლები ერთსულოვანი ტაშით მიესალმნენ სასპორტო ავიაციის შესანიშნავ ოსტატებს ამხ. კოსტინსა და ვოეიკოვს.

საჰაერო ასპარეზზე გამოდის სახელგანთქმული პლანერისტი ოლღა კლეპიკოვა, რომელმაც შორი ფრენის აბსოლუტური საერთაშორისო რეკორდი დაამყარა. იგი თვითმფრინავს ზურგზე ატრიალებს, უმაღლესი პილოტაჟის ურთულეს ფიგურებს აკეთებს.

მოსკოვ-ვოლგის არხის მხრიდან საჰაერო მატარებელი გამოჩნდა. თვითმფრინავის ბუქსირზე პლანერია. ზედ საბჭოთა პლანერიზმის ოსტატი ამხ. მალინოვსკი და მისი მგზავრი პარაშუტისტი ამხ. ივანოვი სხედან. თვითმფრინავი პლანერს მოეხსნა და ტყის გადაღმა მიიმალა, პლანერი კი, რომელსაც მალინოვსკის ოსტატური ხელი მართავს, ჰაერში თითქმის ყოველივე იმას აკეთებს, რაც წინათ თვითმფრინავებმა დაგვანახვეს. მაგრამ აგერ პლანერს მოსცილდა ძლივს შესამჩნევი გოროხი, რომელზედაც ერთი წამის შემდეგ პარაშუტის ფართო გუმბათი გაჩნდა. ეს ივანოვი გადმოხტა, მალინოვსკი კი „შტოპორზე" გადავიდა, პლანერი ღერძის ირგვლივ დაატრიალა და სწრაფად დედამიწას დაუახლოვდა. დედამიწის ზედაპირიდან მხოლოდ რამდენიმე მეტრზე მან პლანერი გამართა, და ეს უკანასკნელი, რომელიც ჰაერის ძლიერმა ზემავალმა ნაკადმა აიტაცა, კვლავ მაღლა ავარდა.

მაყურებლებს მალინოვსკის პლანერისათვის თვალის მოშორება ჯერ კიდევ ვერ მოესწროთ, რომ ჰორიზონტზე საჰაერო მატარებლების მთელი არმადა გამოჩნდა. თვითმფრინავების მიერ ბუქსირებული ათობით პლანერი აეროდრომს უახლოვდებოდა. ისინი თავიანთ ბუქსირებს მოშორდნენ და ჩუმად ტრიალებდნენ სამიარუსიან კარუსელად. ასი ათასობით ადამიანი ალტაცებით ტაშს უკრავდა უმაღლესი პილოტაჟის ამ ახალი ერთობ რთული ფიგურის ოსტატურ შესრულებას.

ხმაურითა და მრისხანედ აგუგუნდა მოტორი. მოსკოვ-ვოლგის არხის მხრიდან სწრაფად ამოიყვინთა ჩქარმა ავიაგამანადგურებელმა, რომელსაც ორდენოსანი კაპიტანი უგროვატოვი პილოტობდა.

დაიწყო დღესასწაულის მეორე განყოფილება. ცას წითელი არმიის მფრინავები დაეუფლნენ. მაყურებლები გულმხურვალედ შეხვდნენ მამაც სტალინურ შავარდნებს, ოვაცია მატულობდა, მან საავიაციო მძლავრი მოტორის გუგუნი შთანთქა.

კაპიტანი უგროვატოვი თავის მანქანას უმაღლესი პილოტაჟის ურთულეს ფიგურებს აკეთებინებდა. მისი ნება-სურვილის მორჩილი მანქანა თითქმის დაკიდებული იჭრებოდა ღრუბლებში, იქიდან კინაღამ ზედ მიწაზე ვარდებოდა, ფრთაზე ბრუნდებოდა, თავის ღერძის ირგვლივ ტრიალებდა და კვლავ ელვისებრ მაღლა ადიოდა.

კაპიტან უგროვატოვს საბჭოთა კავშირის გმირი, უფროსი ლეიტენანტი პიანკოვი სცვლის. იგი აკეთებს მანევრებს, რომლებიც მფრინავისაგან მოითხოვენ რკინისებურ გამძლეობას, უნაკლო თავდაჭერას. ავიაგამანადგურებელი, რომელსაც იგი მართავს თითქმის ვერტიკალურად დაპიკირებს და გულაღმა ბრუნდება დასაშვები მოედნის სულ ახლოს.

აეროდრომის თავზე საჰაერო „ბრძოლა" ჩაღდება. ყუმბარმშენი ავიაგამანადგურებლებს ეჭიდება. მისი ეკიპაჟი, რომელსაც ორდენოსანი მაიორი კარპენკო მეთაურობს, მოხერხებულად და ზუსტად იბრძვის. არა სცხრებიან ავიაგამანადგურებლის წინააღმდეგ მიმართული ტყვიამფრქვევები. მაგრამ დიდი სიჩქარისა და დიდი მანევრირების მქონე „ქორები" ოსტატურად აღწევენ თავს დაშენას. ყუმბარმშენის ეკიპაჟი ძლივს აჩერხებს ერთერთი ავიაგამანადგურებლის „დამარცხებას". მფრინავი მაიორი ზვონარევი ოსტატურად გვიჩვენებს, თუ როგორ ქვასავით „ვარდება" მიწაზე მწყობრიდან გამოყვანილი, შავკვამლმოდებული თვითმფრინავი, მაგრამ მალე ყუმბარმშენიც ძირს „ვარდება" ალმოდებული იგიც სწრაფად მიფრინავს მიწისაკენ, განასახიერებს დამარცხების იმიტაციას.

აეროდრომზე თითქმის ფრთაფრთაზე მიდებული გამოჩნდა ჩქარ ფრთაწითელ ავიაგამანადგურებელთა შესანიშნავი ხუთეული. მრისხანე მანქანები მოჰყავთ საბჭოთა კავშირის გმირს, ავიაციის გენერალმაიორ ლაკეევს, პოლკოვნიკებს გრაშჩენკოვსა და ნიკოლაევს, მაიორებს ანტონოვსა და ვიქტოროვს.

ისინი ამ მანქანებს ისეთი სიზუსტით მართავენ, რომ ეს სიზუსტე წამობითა და მილიმეტრობით გამოიანგარიშება. საკმარისი იყო სულ უმნიშვნელო გადაცდენა და საუცხოო მანევრი უკვე ველარ მოხერხდებოდა.

ხუთეული, რომელსაც ამხ. ლაკეევი მეთაურობს, ცისქვეშეთში აიჭროლებს, იქ მანქანები აქეთ-იქით იფანტებიან და ზედიზედ ხან დედამიწისაკენ, ხან ცაში შურდულივით დაჰქრიან და სწრაფადმბრუნავი ქარის წისქვილის ილუზიას ჰქმნიან.

...გაისმის სირენის შემაშფოთებელი ხმა. ეს ხმები მოისმის საქარხნო კორპუსების მხრიდან, რომლებიც საფრენოსნო მინდვრის ბოლოს გაჩენილან. ეს დიდი ქარხნის მაკეტია. აქეთ მოჰქრიან ავიაგამანადგურებლების თანხლებით ჩქარი ყუმბარმშენები.

მათ დას[illegible]ნენ თავდაცვის ავიაგამანადგურებლები. გრიალებს საზენიტო არტილერიისა და საზენიტო ტყვიამფრქვევების კანონადა. მკვრივ კვამლის ფარდას ჰკვეთს საჰაერო თავდაცვის ცეცხლი. თავდამსხმელ და თავდამცველ თვითმფრინავებს შორის ფიცხელი შეტაკება იმართება. ბრძოლის ოსტატობა გამოცდილ სამხედრო სპეციალისტთა ალტაცებას იწვევს.

ზენიტურების ბათქი და ყუმბარების ფეთქება ნამდვილი საომარი მოქმედების სანახაობას ჰქმნის. ყუმბარების ტვირთი ზედ მიზანს ხვდება და საქარხნო კორპუსების აფეთქებას იწვევს. გამანადგურებელთა დარტყმა საზენიტო ბატარიებს ადუმებს.

... ჯერ კიდევ ალშია ქარხანა, რომლის გარშემო მეხანძრენი დარბიან, ჯერ კიდევ გრიალებს ქვემეხები, ჰაერში კი კვლავ მძლავრი მოტორები გუგუნებენ. იწყება ახალი საბრძოლო თვითმფრინავების ჩვენება. ხალხს, ჩვენს ქვეყანას ანგარიშს აბარებენ საბჭოთა საავიაციო მრეწველობა, მისი მუშები და კონსტრუქტორები. ელვისებრ გაიქროლა გამანადგურებელი ავიაციის მანქანამ, რომელსაც საბჭოთა კავშირის გმირი მაიორი სუპრუნი მართავს. დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს აგრეთვე იმ ახალი ავიაგამანადგურებლის რეისებმა, რომელსაც მფრინავი ინჟინერი ნიკაშინი პილოტობდა, და ჩქარი ყუმბარმშენების რეისებმა.

დღესასწაულის დამთავრებისას ნაჩვენები იყო პარაშუტით ინდივიდუალური და ჯგუფური ხტომა. საბჭოთა კავშირი მასობრივი საპარაშუტო სპორტის სამშობლოა. 18 აგვისტოს ტუშინოს აეროდრომზე დემონსტრირებულ იქნა მისი ახალი წარმატებანი. „მარყუჟსა" და „ვირაჟში" მყოფი თვითმფრინავებიდან ვირტუოზულმა ხტომამ მაყურებლებს დაანახვა, რომ საბჭოთა პარაშუტისტები არცერთ მდგომარეობაში თავდაჭერას, სიმარდესა და გამბედაობას არა ჰკარგავენ და მუდამ მზად არიან მათ წინაშე დასახული ამოცანის შესრულებისათვის.

მეტად ბრწყინვალე იყო საჰაერო დესანტის სანახაობა. მძიმე სატრანსპორტო თვითმფრინავებიდან აეროდრომის ცენტრში დიდ ჯგუფებად ხტებოდნენ თავდაცვა-ავიაქიმელი პარაშუტისტები. 150 ფერადი გუმბათი ნარნარად დაეშვა და გიგანტური ჩრდილით აეროდრომის ვეებერთელა მინდორი დაჰფარა. ასი-ათასობით ადამიანი ალტაცებული ტაშისცემით ეგებებოდა მათ. პარაშუტისტები დაეშვნენ სწორედ დანიშნულ ადგილას. დღეს ეს წარმტაცი და კეთილშობილური სპორტია, რომელიც მამაცობას, გამბედაობასა და სიმხნეს ავითარებს. ხვალ კი, თუ პარტია, მთავრობა და დიდი სტალინი მოითხოვენ, ათასობით საბჭოთა ჭაბუკი ყოველ საბრძოლო დავალებას შეასრულებს საბჭოთა ხალხის სადიდებლად, საყვარელი სოციალისტური სამშობლოს სადიდებლად!

დაავგირგვინა რა დღესასწაული, დაცარიელებულ ცაში გაიქროლა სამგზავრო თვითმფრინავმა — გიგანტმა „სსსრ ლ—760".

სულ ტუშინოში, ავიაციის დღესასწაულში 380 თვითმფრინავი მონაწილეობდა. (საკდესი).

სტალინური ავიაციის ზეიმი თბილისში

ძვირფასი და საყვარელია მთელი საბჭოთა ხალხისათვის უძლეველი და უძლიერესი, ჩვენი სახელოვანი სტალინური ავიაცია. უსაყვარლესი და უძვირფასეს დღესასწაულად გადაიქცა საბჭოთა ავიაციის ტრადიციული დღე სოციალიზმის ქვეყნის მშრომელებისათვის.

ამიტომ იყო, რომ ასე დიდი აღფრთოვანებით, სიყვარულით და ნამდვილი სახალხო ზეიმით აღნიშნეს თბილისის მშრომელებმა 18 აგვისტო—ჩვენი გმირული ავიაციის დღე.

ჯერ კიდევ წინა საღამოს თბილისს უკვე დაეტყო სადღესასწაულო ელფერი. ქუჩებში და მოედნებზე გამოჰფინეს დროშები, პლაკატები, ლოზუნგები, პორტრეტები სახელოვანი ჩვენი გმირი მფრინავებისა, სტალინური ავიაციის შევარდნებისა. ელექტრო-ჭაღების ფერადი შუქი აბრწყინებდა დიდი ბელადის ამხანაგი **სტალინისა** და მისი უახლოესი თანამებრძოლების მხატვრულ სურათებს და პორტრეტებს.

გათენდა 18 აგვისტო—უმშვენიერესი დღე აგვისტოს სხვა დღეებს შორის. მზე ამობრწყინდა მთელი თავის ძლიერებით და ქვეყანას კარგი ამინდი აუწყა. დილის სიგრილე ჯერ არ გამქრალიყო, მაცოცხლებელი ნიავი ისევ ახალისებდა პაპანაქებას მიჩვეულ მოქალაქეებს, რომ თბილისის აეროპორტისკენ დაიძრნენ წითელი დროშებით, გირლიანდებით და პლაკატებით ნაირნაირად მორთულ, საავიაციო ზეიმზე მიმავალი მშრომელებით სავსე ავტომობილთა უთვალავი ქარავნები. ავტო-კოლონები ერთი მეორეს მისდევდნენ. მშრომელები მიდიოდნენ აეროპორტის ვრცელ მინდორზე გამართულ დიდი საავიაციო ზეიმზე, შესანიშნავ და ზღაპრულ სანახაობაზე დასასწრებლად.

თბილისის რკინიგზის სადგურიდან სპეციალური მატარებლები გავიდნენ აეროპორტისაკენ. ვაგონმრავალმა მატარებლებმა ათასობით და ათიათასობით მშრომელები მიიყვანეს იქ, საავიაციო ზეიმზე დასასწრებლად.

დილის 11 საათისათვის აეროპორტის ვეებერთელა მინდვრის ერთი მხარე უკვე აივსო ხალხით. იქვე გაეკეთებინათ სახელდახელო ფარდულები, სადაც იყიდებოდა გამაგრილებელი სასმელები, მშრალი საჭმელი, ტკბილეული, ნაყინი, ხილი და სხვ.

ხალხი კვლავ ემატებოდა თავმოყრილებს; ავტომობილთა ქარავნები კვლავ უწყვეტ ტალღად მოედინებოდნენ აეროპორტისაკენ.

მინდვრის შუა ადგილას აღმართულ სახელდახელო ტრიბუნაზე თავი მოიყარეს სსრ კავშირის და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოების დეპუტატებმა, საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და თბილისის კომიტეტის წევრებმა, ამიერ-კავკასიის სამხედრო ოლქის სარდლობამ, კომკავშირის ხელმძღვანელმა მუშაკებმა, თბილისის საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და საწარმოების წარმომადგენლებმა, სტახანოველებმა, მწერლებმა, ხელოვნების მუშაკებმა და სხვ. ტრიბუნაზე მყოფთა შორის იყვნენ: **კ. შეროზია, ს. იშხანოვი, ს. ხოშტარია, ი. კოჭლამაზაშვილი, ი. ტიულენევი, ე. ჩერქეზია, ა. მირცხულავა, რ. კვირკველია**, სსრკ სახალხო არტისტები — **ა. ხორავა, ა. ვასაძე**, ამიერ-კავკასიის სამხედრო ოლქის პოლიტსამმართველოს უფროსი ამხ. **დუბოვსკოი, გ. გოჩაშვილი, კ. ბერიშვილი, დ. ჭიჭინაძე, შ. ჭანკოტაძე, გ. ცქიტიშვილი, ბ. ლელინი, მ. არაქელოვა, ი. ურიგაშვილი** და სხვ.

საავიაციო ზეიმი დაიწყო მიტინგით, რომელიც გახსნა თბილისის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. **ი. კოჭლამაზაშვილმა**, მიტინგის გახსნისას წარმოთქმულ თავის მოკლე შესავალ სიტყვაში ამხ. კოჭლამაზაშვილმა აღნიშნა ის უსაზღვრო სიყვარული, რომელსაც იჩენს საბჭოთა ხალხი სტალინური საბჭოთა ავიაციისადმი. მან აღნიშნა, რომ ჩვენი უშიშარი გმირი მფრინავები, რომლებმაც მრავალჯერ ასახელეს სოციალისტური სამშობლო, აღზრდილი არიან დიდი **სტალინის** მიერ, მისი მამობრივი მზრუნველობით. ჩვენი ავიაცია, რომელსაც მსოფლიოში ბადალი არ ჰყავს, შექმნილია დიდი **სტალინის** უშუალო ხელმძღვანელობით, მისი დახმარებითა და მზრუნველობით. ამიტომ ვეძახით ჩვენ მას — სტალინურ ავიაციას.

დიდი **სტალინის** სახელის ხსენებისას ხალხით სავსე მინდორზე გაისმა ტაშის გრიალი და მისასალმებელ შეძახილთა ხმა. ორკესტრი ასრულებდა „ინტერნაციონალს" და მთელი ეს საზეიმო ხმაური ქვეყნის ყოველი კუთხისაკენ მიჰქონდა რადიოს.

ამხ. კოჭლამაზაშვილმა სიტყვა მისცა სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის მუშათა ოთხიათასიანი კოლექტივის წარმომადგენელს, სტახანოველს ამხ. **ი. მაჩაიძეს**.

იგი შესცვალა ამხ. **ტაიურსკიმ**, რომელიც თბილისის მშრომელებს მიესალმა წითელი სამხედრო-საჰაერო ფლოტის მფრინავებისა, შტურმანებისა, ტექნიკოსებისა და მებრძოლების სახელით.

შემდეგ მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ ამხ. **რ. მოწერელია** — თბილისის კომკავშირული ახალგაზრდობის სახელით, ამხ. **გ. კერვალიძე**—ამხანაგ ლ. ბერიას სახელობის თბილისის აეროკლუბის კურსანტებისა, პილოტებისა და ტექნიკოსების სახელით და ამხ. **ა. ხორავა**—ხელოვნების მუშაკთა სახელით.

დამთავრდა მიტინგი და ჰორიზონტზე უკვე გამოჩნდნენ შორსმფრენი ყუმბარმზიდები. მათი მოტორთა გუგუნი ახლოვდებოდა და ოდნავ შესამჩნევი შავი წერტილებიდან მაღლა, ცის უსაზღვროებაში უკვე გამოისახენ მრისხანე ესკადრილიები. შორსმფრენ ყუმბარმზიდებს მოჰყვებოდნენ სწრაფმფრენი ყუმბარმზიდები, შემდეგ ისევ მძიმე თვითმფრინავები...

ჰაერში გაიშხუილეს მტრედისფერმა თვითმფრინავებმა. ერთმანეთს სცვლიდნენ სხვადასხვა დანიშნულებისა და კლასის თვითმფრინავები. ჰაერში განუწყვეტელი ხმაური იყო და მოტორთა გუგუნი სიხარულისა და სიამაყის გრძნობას აფრქვევდა ზეიმზე დამსწრე ურიცხვ მშრომელთა გულში.

ერთი წუთით შესწყდა ხმაური. თვითმფრინავებმა დასტოვეს ცის სივრცე და სადღაც მიიმალნენ. რადიო-რუპორებიდან გაისმა ხმა:

— ახლა დაიწყება გამანადგურებლების შეტაკების იმიტაცია. ყურადღება, გამანადგურებლები უკვე გვიახლოვდებიან!

თვალის დახამხამებაში მაღლა გაიშხუილეს სწრაფმა გამანადგურებლებმა. უტრიალებდნენ ერთი მეორეს, ათასნაირი ფიგურებით სცდილობდნენ ერთი მეორეზე „თავდასხმას", მოწინააღმდეგის „ჩამოგდებას", „იბრძოდნენ" თავგამეტებით, მიმართავდნენ ყოველგვარ ხერხს, რომ დუელში გაემარჯვნათ, მაგრამ ერთობ გაუჭირდათ ერთი მეორის „ხელში ჩაგდება". საჰაერო ბრძოლის ორი ოსტატი ერთმანეთს შეხვდა და გამარჯვება ორივესთვის ძნელი გახდა.

ეს შესანიშნავი, თავის ოსტატობით და უმაღლესი პილოტაჟის ზედმიწევნით დაუფლებით, საჰაერო ბრძოლის იმიტაცია ჩაატარეს საბჭოთა კავშირის გმირმა ამხ. **იაკოვენკომ** და ორდენოსანმა მებრძოლმა-მფრინავმა ამხ. **კულმანმა**.

„შეტაკებულმა" თვითმფრინავებმა დასტოვეს „ბრძოლის ველი". მათ მაგიერ ცის ტატნობში შურდულივით აიჭრა უცნაურად სწრაფი პატარა თვითმფრინავი, რომელსაც მართავდა საბჭოთა კავშირის გმირი კაპიტანი ამხ. **პეტროვი**.

ამხ. პეტროვმა ხალხს უჩვენა უმაღლესი პილოტაჟის იშვიათი ოსტატობა. თვითმფრინავი ბზრიალასებრ ტრიალებდა ჰაერში. ხან გულაღმა გადაბრუნდებოდა, ხან გვერდით. იმელმანები, „ჩურჩხელები", პიკე, ანუ ძირს ვარდნა მთელი სიმძიმით, „მკვდარი" მარყუჟები, მრავალი თავბრუდამხვევი ფიგურა უჩვენა მან მაყურებლებს.

ამ შესანიშნავი და საუცხოო სანახაობით დამთავრდა საავიაციო ზეიმი.

შემდეგ მშრომელებმა დაიწყეს გართობა. მომღერლები, ესტრადის მსახიობები და თვითმოქმედი წრეები გამოვიდნენ სახელდახელოდ მოწყობილ ესტრადებზე მშრომელთა გასართობად. ყოველი მხრიდან მოისმოდა სიმღერა და ტაშის ხმა. ცეკვავდნენ, ჭიდაობდნენ, მღეროდნენ...

50.000-მდე მშრომელი ღებულობდა მონაწილეობას ამ ნამდვილ სახალხო ზეიმსა და ღრეობაში.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

გამომცდელ მფრინავთა ამხ. ა. ნ. ეკატოვის, ა. ი. ჟუკოვის, ი. ი. კალინშჩიკოვისა და ს. ა. კორზინშჩიკოვის დაჯილდოების შესახებ

მრავალი წლის თავდადებული მუშაობისა და თვითმფრინავების გამოცდის დროს მაღალი ოსტატობის გამოჩენისათვის დაჯილდოებულ იქნან საავიაციო მრეწველობის უძველესი გამომცდელი მფრინავები.

წითელი ვარსკვლავის ორდენით

1. არკადი ნიკიფორეს-ძე **ეკატოვი**
2. ალექსანდრე ივანეს-ძე **ჟუკოვი**
3. ივანე ივანეს-ძე **კალინშჩინი**
4 სერგი ალექსანდრეს-ძე **კორზინშჩიკოვი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. კალინინი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გორკინი.

მოსკოვი, კრემლი, 1940 წლის 17 აგვისტო.

ვ. პ. ჩკალოვის ძეგლის საძირკვლის ჩაყრა

გორკი, 18 აგვისტო (საკდესი). ქალაქ გორკის მშრომელებმა სტალინური ავიაციის დღე სიხარულით აღნიშნეს. ზემო ვოლგის ჟდანოვის სახელობის სანაპირო ქუჩაზე, სადაც თავის დროზე დასვენება უყვარდა ვალერი პავლეს-ძე ჩკალოვს, დღეს გაიმართა ხალხმრავალი მიტინგი, რომელიც მიეძღვნა ჩვენი დროის დიდი მფრინავის ძეგლის საძირკვლის ჩაყრას.

ორთვენახევრის შემდეგ აქ, იმიერვოლგის სივრცეებში, აგებულ იქნება სახალხო გმირის ბრინჯაოს ძეგლი.

... მაღალ პოსტამენტზე აღმართულია მფრინავის ვაჟკაცური ფიგურა. მას თვალი მაღლა მიუპყრია. ჩკალოვს საზაფხულო კოსტიუმი აცვია, ხელთათმანს იკეთებს და თითქოს გასაფრენად ემზადება.

ასეთია მოქანდაკე ი. ა. მენდელევიჩის მიერ წარმოდგენილი პროექტი ძეგლისა.

ქალაქის აეროდრომზე გამართულ დღესასწაულში მონაწილეობა მიიღო 200 ათასამდე მშრომელმა. ისინი ესწრებოდნენ თვითმფრინავების პარადს, პარაშუტისტების დესანტის გადმოხტომას და საწრთვნელი თვითმფრინავების ჯგუფურ ფრენას.

რუმინეთის დესპანის ბ-ნ გ. გაფენკუს მიერ რწმუნების სიგელების გადაცემა

17 აგვისტოს სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. **მ. ი. კალინინმა** მიიღო რუმინეთის საგანგებო დესპანი და სრულუფლებიანი მინისტრი ბ-ნი **გ. გაფენკუ**, რომელმაც გადასცა თავისი რწმუნების სიგელები.

ქრონიკა

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით ამხ. **მ. ნ. აჯიბეგაშვილი** დამტკიცებულია საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისრის მოადგილედ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოში

ა. წ. 14 აგვისტოს შესდგა საქართველოს სს რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს სხდომა.

საქართველოს სს რესპუბლიკის სახკომსაბჭომ განიხილა მალარიასთან ბრძოლის შემდგომი გაძლიერების ღონისძიებანი და კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სამეურნეო ორგანიზაციებს დაავალა, მათ მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე მალარიის კოღოს გავრცელების კერების მოსასპობად, 1940-41 წლების განმავლობაში თავიანთი ძალებითა და სახსრებით ჩაატარონ საჭირო სამელიორაციო სამუშაოები, გასწმინდონ წყალსადენის არსებული არხები, ამოავსონ გამოუყენებელი ბუნებრივი წყალსატევები და აგრეთვე მდგარი გუბეები და გაიყვანონ დამშრობი არხები დაჭაობიანებული ნაკვეთების გრუნტისა და ზედაპირის წყლების გადასაგდებად.

სახკომსაბჭომ დააწესა, რომ კოლმეურნეობები და ყველა სხვა ორგანიზაციები ზემოთაღნიშნულ სამუშაოებს სავალდებულო წესით ატარებენ საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატის ორგანოების მითითებათა თანახმად. იმ დაჭაობიანებული ადგილების მოსასპობად ზომების მიუღებლობისათვის, რომლებიც მალარიის გავრცელების კერას წარმოადგენენ, პერსონალურად პასუხს აგებენ კოლმეურნეობათა თავმჯდომარენი და სათანადო ორგანიზაციების ხელმძღვანელები.

სახკომსაბჭომ მშრომელთა დეპუტატების სარაიონო და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს წინადადება მისცა ცალცალკე თვითეული მეურნეობის მიხედვით ორი დეკადის ვადაში გამოავლინონ მალარიის გავრცელების კერები, დაამტკიცონ სამელიორაციო სამუშაოთა ჩატარების კონკრეტული ვადები და სისტემატური კონტროლი დააწესონ სამელიორაციო სამუშაოთა მიმდინარეობაზე.

* * *

სახკომსაბჭომ ამავე სხდომაზე მოისმინა საქ. სსრ განათლების სახალხო კომისარიატის ინფორმაცია ახალი სასწავლო წლისათვის მზადების მიმდინარეობის შესახებ.

საქართველოს სსრ სახკომსაბჭომ აღნიშნა, რომ რესპუბლიკაში ახალი სასწავლო წლისათვის მზადება არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს: ახალ სასკოლო შენობათა მშენებლობის გეგმა მთელ რიგ რაიონებში შეუსრულებელია, სასკოლო შენობათა რემონტი აგრეთვე არ დამთავრებულა, მრავალ სკოლას არა ჰყოფნის სასკოლო ინვენტარი, არ არის შესრულებული სტაბილური სახელმძღვანელოების გამოცემის გეგმა, ჩამორჩება სომხურსა და აზერბაიჯანულ ენებზე სახელმძღვანელოების შემოზიდვა.

არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს სასკოლო ბიბლიოთეკებისა და სკოლების წიგნებით მომარაგება, განსაკუთრებით სოფლის სკოლების მომარაგება თვალსაჩინო სასწავლო სახელმძღვანელოებით. დიდი ნაკლოვანებანია სასკოლო ასაკის ბავშვთა აღრიცხვაში.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭომ წინადადება მისცა აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკების სახკომსაბჭოების თავმჯდომარეებსა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომის თავმჯდომარეს მიიღონ ყველა საჭირო ზომები, რათა სკოლების მშენებლობა დამთავრებულ იქნას ქალაქად—1940 წლის 1 სექტემბრისათვის, ხოლო, სოფლად — არაუგვიანეს 1 დეკემბრისა.

სახკომსაბჭომ ჩამორჩენილი რაიონების რაიაღმასკომების თავმჯდომარეებს დაავალა გადამწყვეტი ზომები მიიღონ, რათა სოფლის სკოლების მშენებლობა დამთავრებულ იქნას არა უგვიანეს 1940 წლის 1 დეკემბრისა და სასკოლო შენობათა რემონტი—ა. წ. 1 სექტემბრისათვის.

ამასთანავე სახკომსაბჭომ რაიაღმასკომების თავმჯდომარენი გააფრთხილა, რომ საქ. სსრ სახკომსაბჭოს წინაშე მათ ეკისრებათ ამ დადგენილების შესრულების პერსონალური პასუხისმგებლობა.

სახკომსაბჭომ დაავალა განათლების სახალხო კომისარიატს და მის ადგილობრივ ორგანოებს სერიოზული ყურადღება მიაქციონ, რათა სკოლები, განსაკუთრებით სოფლის სკოლები, მომარაგებულ იქნან თვალსაჩინო სახელმძღვანელოებით სასწავლო წლის დაწყებამდე; უზრუნველჰყონ სასკოლო ბიბლიოთეკების გეგმაშეწონილი მომარაგება სათანადო ლიტერატურით.

* * *

იმ მიზნით, რომ დაცულ იქნას უმკაცრესი საფინანსო - საგეგმო დისციპლინა, აღიკვეთოს სახელმწიფო სახსრების უკანონო ხარჯვა და აღმოიფხვრას ბოროტმოქმედებანი საქონლისა და მასალის შეძენისა და გასაღების დროს, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭომ საქართველოს სსრ ყველა სახელმწიფო, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ საწარმოს, დაწესებულებასა და ორგანიზაციას აუკრძალა ყველა სახის საქონლისა და მასალის, მათ შორის თავიანთი პროდუქციის, შეძენა და გასაღება იმ აგენტების მეშვეობით, რომლებიც ეგრეთწოდებული შრომითი ხელშეკრულების თანახმად პროცენტული გასამრჯელოს პირობით მუშაობენ.

სახკომსაბჭომ დააწესა, რომ როგორც სახელმწიფო, ისე კოოპერატიული და საზოგადოებრივი საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ გამომუშავებული პროდუქცია გასაღებულ და შეძენილ უნდა იქნას მხოლოდმხოლოდ სახელმწიფო და კოოპერატიული ვაჭრობის ქსელის მეშვეობით ან სათანადო სახელმწიფო მომმარაგებელი და გამსაღებელი ორგანიზაციების მეშვეობით.

სახკომსაბჭომ ყველა სახელმწიფო, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს წინადადება მისცა—მათი პირადი პასუხისმგებლობით, — პროცენტულ - პრემიალურ ანაზღაურებაზე მყოფ საშტატო თანამშრომლებისათვის გასამრჯელოს ანაზღაურებისას მტკიცედ დაიცვან მუშაკთა შესაბამისი კატეგორიებისათვის დაწესებული ნორმები, მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.

* * *

ავტომანქანების აღრიცხვისა და გამოყენების საქმეში ჯეროვანი წესრიგის დამყარების მიზნით, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭომ საქართველოს სს რესპუბლიკის ყველა სახკომატებს, საწარმოებს და ორგანიზაციებს, მათ შორის საზოგადოებრივ და კოოპერატიულ ორგანიზაციებს, აუკრძალა მათი კუთვნილი საბარგო და მსუბუქი ავტომანქანებისა და ავტობუსების მიყიდვა ან გადაცემა სხვა სისტემის საწარმოებისა, ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისათვის, აგრეთვე კერძო პირთათვის, ყოველ ცალკე შემთხვევაში საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს ნებართვის გარეშე.

სახკომსაბჭომ დააწესა, რომ საქართველოს სსრ სახალხო კომისარებს და ცენტრალურ ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ხელმძღვანელებს შეუძლიათ დამოუკიდებლად ნება დართონ ავტომანქანების მიყიდვა და გადაცემა მხოლოდ თავიანთი სისტემის საწარმოებისა და დაწესებულებებისათვის. (საქდესი).

ვამოწმებთ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 26 ივნისის და 10 ივლისის ბრძანებულებების შესრულებას

კომუნისტების ბრძოლა დისციპლინისათვის

საქართველოს სს რესპუბლიკის ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის სასოფლო-სამეურნეო მანქანების ქარხნის პარტიულმა ორგანიზაციამ (პარტბიუროს მდივანი ვ. ლოლუა) მტკიცედ მოჰკიდა ხელი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წლის 26 ივნისის ბრძანებულების განხორციელების საქმეს.

პარტბიურო არ დაკმაყოფილდა მარტო იმით, რომ მოიწვია მიტინგი და აგიტატორების საშუალებით საამქროებში დაამუშავა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება. იგი ყოველდღიურად კონტროლს უწევს ბრძანებულების განუხრელად გატარებას.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 26 ივნისის ბრძანებულების გამოსვლამდე ქარხანაში ადგილი ჰქონდა საგრძნობ გაცდენასა და დაგვიანებას. ამის დამადასტურებელია ის ფაქტიც, რომ ივნისში ბრძანებულების გამოსვლამდე სამუშაოს გაცდენისათვის 3 მუშა იქნა მოხსნილი, ხოლო სამუშაოზე დაგვიანებით გამოცხადებისათვის რამდენიმე კაცს საყვედური გამოეცხადა.

ბრძანებულების შემდეგ კი მკვეთრად შემცირდა სამუშაოს გაცდენა და სამსახურში დაგვიანებით გამოცხადების ფაქტები. დღემდე ადგილი არ ჰქონია სამუშაოზე გამოუცხადებლობას.

კომუნისტები პირად მაგალითით ზრდიან ქარხნის ახალგაზრდა მუშებს. ეს იქიდანაც სჩანს, რომ წარმოებაში უშუალოდ მომუშავე 14 კომუნისტი ყველა სტახანოველია.

პარტიის წევრი ზეინკალი ამხ. პაპიაშვილი ყოველთვიურ გეგმას 224 პროცენტით ასრულებს, ხოლო კომუნისტი მრანდავი ამხ. დუღაშვილი 346 პროცენტით. არანაკლები მაჩვენებლები აქვთ ქარხანაში მომუშავე დანარჩენ კომუნისტებსაც.

კომუნისტებისა და უპარტიო აქტივისტების სიგნალების საფუძველზე პარტბიურომ შეამოწმა გამოშვებული პროდუქციის ხარისხი. აღმოჩნდა, რომ სამსხმელო საამქროში ბრინჯაოს სხმულის დეტალები რბილი იყო იმის გამო, რომ მათი ჩამოსხმა ხდებოდა დაბალი ხარისხის მასალით. ჩამოსხმული დეტალები ძალზე უსუფთაო იყო და მათი გასუფთავება დიდ სიძნელეს წარმოადგენდა. სხმულის საწმენდ საამქროში ერთი კაცი მუშაობდა, რომელიც ვერ ასწრებდა ჩამოსხმული მასალის გაწმენდას და ხშირად გაუწმენდავი ნაწილები მიდიოდა სახარატო და ამწყობ საამქროებში. არ იყო აგრეთვე შედგენილი დეტალების დამუშავების ტექნოლოგიური რუკები, რის შედეგადაც თვითეული მუშა თავის შეხედულებისამებრ ამუშავებდა მათ, რაც საგრძნობ წუნს იწვევდა.

ქარხნის პარტიულმა ორგანიზაციამ 7 აგვისტოს მოისმინა დირექტორის მოხსენება. კომუნისტებმა ბოლშევიკურად გააკრიტიკეს ქარხანაში არსებული ნაკლი და დასახეს ღონისძიებანი მის სალიკვიდაციოდ. (საქდესი).

უქნარები სარეწაო საბჭოს აპარატში

სარეწაო საბჭოს კორიდორებში დაუსრულებელი მოძრაობა და ფუსფუსია, განუწყვეტელი საუბარი და მითქმა-მოთქმა...

ლაპარაკობენ „სპარტაკის" წარმატებებზე ბულგარეთში, ქება-დიდებას ასხამენ ფედოტოვს, წყენას გამოსთქვამენ, რატომ თბილისის „დინამოდან" არავინ შეიყვანეს „სპარტაკში", კამათობენ იმაზე, თუ რომელ ადგილზე გამოვა თბილისის „დინამო", ვინაა ყველაზე საუკეთესო ფეხბურთელი საბჭოთა კავშირში, რომელი იარუსის ბილეთი აიღონ სტადიონზე გამოსასვლელ დღეს და ასე... კინოლენტივით იცვლება საუბრის თემები, ბოლო არ უჩანს მასლაათს...

ოთახებში კი ზოგს ბუფეტიდან მაწონი გამოუტანია და შეექცევა, ზოგი საანგარიშო ჩოთქს ეთამაშება და დროგამოშვებით საათს შეხედავს, ზოგი აქაც ფეხბურთის თეორეტიკოსობას ჩემულობს, ზოგს კიდეც ჩასძინებია...

არ იფიქროთ, რომ ჩვენ საერთოდ წინააღმდეგი ვართ ფეხბურთის, სმა-ჭამის, ძილის და მეგობრული საუბრის, მაგრამ როდესაც ყველაფერი ეს სამუშაო საათებში ხდება, ეს დიდი დანაშაულია, სასტიკად დასაგმობი.

ჩვენი ნათქვამი ლიტონ სიტყვებად რომ არ ჩასთვალონ, დავასახელებთ რამდენიმე ფაქტს:

14 აგვისტოს საფინანსო განყოფილების თანამშრომელმა, კომუნისტმა ამხ. ზაალიშვილმა სამუშაო საათებში საჭმელი გამოიტანა და ოთახში თავისუფლად მიირთმევდა. სარეწაო საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. გოგიჯანოვმა ზაალიშვილს შენიშვნა მისცა, სამუშაო საათებში ბუფეტში სიარული არ შეიძლებაო. ზაალიშვილმა ეს იწყინა, შეურაცხყოფად მიიღო. როგორ, მე პარტიის წევრს ეს როგორ გამიბედეთო და პირიქით დაემუქრა, „ნახეთ, პარტბიუროში შევიტან განცხადებასო".

ცუდია, რომ პარტბიუროს მდივანმა ამხ. ლუხუტაშვილმა ამ ამბისა „არაფერი იცის", მაგრამ ამხ. ზაალიშვილის საქციელი რომ გაუმართლებელია, ესეც სინამდვილეა. გამოდის, რომ რაკი ამხ. ზაალიშვილი პარტიის წევრია, მას უფლება აქვს დაარღვიოს შრომის დისციპლინა, ფლანგოს სამუშაო დრო და ამაზე არავინ მიუთითოს, პასუხი არავინ მოსთხოვოს.

პარტიის ცენტრალური ორგანო „პრავდა" კი სხვას გვეუბნება. შრომის დისციპლინის დარღვევის შემთხვევაში კომუნისტი უფრო მკაცრად უნდა დაისაჯოს, რადგან ეს შეუთავსებელია კომუნისტის სახელთან, რადგან კომუნისტი პირად მაგალითს უნდა იძლეოდეს, მთელ თავის ნიჭს, უნარს, ძალღონეს და გამოცდილებას საერთო საქმეს ახმარდეს.

მეორე ამბავი. 10 აგვისტოს სპეცგანყოფილების მუშაკი ამხ. აზაროვი სამუშაო საათებში სადილზე წავიდა. ასეთ მოქცევას ის ამართლებდა: მაშ როგორ, სადილი არ უნდა მეჭამაო?!

სარეწაო კოოპერაციის საბჭოში ყველა იცნობს საპროექტო ბიუროს მემანქანე ქალს მ. კლობუკოვას. მისი მოსვენება არ იქნება, ხან კორიდორშია და საუბარი გაუბამს თავის კოლეგებთან, ხან ოთახებს ჩამოირბენს და „ახალ ამბებს" გაავრცელებს, ხან ბუფეტშია და საშაქარლამო ნაწარმს შეექცევა, ხან იმაზე ოცნებობს, თუ სად გაატაროს კვირა-დღე, და თავის „მოსაზრებებს" სხვებს უზიარებს...

სხვანაირად იქცევა ბრტყელ „ტყავუტილის" კულტმუშაკი გურგენოვი, ის კამათს, შეხლა-შემოხლას და კორიდორებში სიარულს ძილს ამჯობინებს... და კიდეც სძინავს ხოლმე სამუშაო საათებში.

აქ მხოლოდ ზოგი რამ ვთქვით, მაგრამ ერთია გარკვეული: სარეწაო კოოპერაციის საბჭოს აპარატში ჯერ კიდევ არიან უქნარები, ცუღლუტები, სამუშაო დროის მფლანგველები.

დასასრულ, რამდენიმე სიტყვა შტატებზე. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 26 ივნისის ბრძანებულების გამოქვეყნებამდე სარეწაო საბჭოს აპარატში 55 კაცი მუშაობდა (აქ არ შედიან დარგობრივი კავშირების მუშაკები). ამდენივე მუშაობს ახლაც, როდესაც სამუშაო დღე 8 საათით განისაზღვრა ხოლო სამუშაო კვირა 7 დღით. რაშია საქმე? სამუშაო დრო გადიდდა, აპარატში დაახლოებით იმდენივე ბრძანებები, მიმართვები და დადგენილებები იწერება, რამდენიც ბრძანებულებამდე იწერებოდა. მაშ რატომ არ ფიქრობენ შტატების შემცირებაზე? აქ თავს იმით ინუგეშებენ, რომ შტატი ზამთარში შევამცირეთო. ახლა კი ამაზე აღარ ფიქრობენ, მაგრამ ამ მდგომარეობიდან ისინი სარეწაო კოოპერაციის ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმიდან მოსულმა დეპეშამ გამოიყვანა. იწერებოდნენ, შტატები შეამცირეთო. აქაც დაფაცურდნენ, მაგრამ პრაქტიკული ნაბიჯები ამ მიმართულებით ჯერაც არ გადაუდგამთ.

ვნახოთ რა მოხდება ამ დღეებში.

პ. ჭიოკაძე

შეუწყნარებელი ლმობიერება

პარტიის რიგებიდან შრომის დისციპლინის დამრღვევის, სასამართლოს მიერ უკვე მსჯავრდადებულის გარიცხვას ხმა მისცა ექვსმა კომუნისტმა. დანარჩენები საყვედურის გამოცხადებას მოითხოვდნენ.

ეს მოხდა ამა წლის 15 აგვისტოს, თბილისის ტრამვაისა და ტროლეიბუსების ტრესტის პარტორგანიზაციის კრებაზე. საქმე ეხებოდა საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატს, ტროლეიბუსის შოფერს ილია ეგნატეს-ძე ზანთარიას, რომელმაც მიმდინარე წლის 21 ივლისს ერთი საათითა და 15 წუთით დაიგვიანა სამუშაოზე. დამნაშავე პასუხისგებაში მისცეს, მაგრამ მას წარბიც არ შეუხრია, 22 ივლისსაც დაგვიანებით გამოცხადდა სამუშაოზე.

8 აგვისტოს ზანთარია სასამართლოს წინაშე წარსდგა, თავის მართლებას შეეცადა, თავისი პარტიულობაც მოიშველია, მაგრამ ვერაფერმა გასჭრა. გამცდენს მიუსაჯეს 6 თვით იძულებითი მუშაობა ხელფასიდან 25 პროცენტის დაკავებით. პარტბიურომ (მდივანი ამხ. გ. ხასია) იმსჯელა მის საკითხზე და მიიღო გადაწყვეტილება პარტიის რიგებიდან ზანთარიას გარიცხვის შესახებ. მაგრამ, პარტიულმა კრებამ, რომელიც სათანადოდ არ იყო მომზადებული, მხარი არ დაუჭირა პარტბიუროს წინადადებას. საკ. კ. პ. (ბ) წევრები ამხ. გ. გრიგოლავა, ს. გრიგორიანი, ა. აგაბალიანი და გ. ბოკუჩავა კრებაზე ენერგიულად გამოვიდნენ შრომის დისციპლინის დამრღვევის დასაცავად. ისინი ასე მსჯელობდნენ: ზანთარია სასამართლოს მიერ უკვე მსჯავრდადებულია, სასჯელად ესეც ეყოფა, ახალგაზრდა ამხანაგია და მომავალში გამოსწორდებაო. ასეთი მსჯელობა სხვა არა არის რა, თუ არ მავნე ლაყბობა, რომელიც მიმართულია გამცდენთა დასაფარავად.

და განა ზანთარიამ ერთხელ დაარღვია შრომის დისციპლინა? მან ხომ ორჯერ ზედიზედ დააგვიანა სამუშაოზე. ამის შესახებ პარტიულ კრებას სერიოზულად არ უმსჯელია. პარტბიუროს მდივანი განმეორებით შეეცადა პარტბიუროს გადაწყვეტილების დაცვას, მაგრამ ამაოდ; კრებამ მიიღო დადგენილება: ილია ეგნატეს-ძე ზანთარიას მიეცეს სასტიკი საყვედური უკანასკნელი გაფრთხილებით.

დამაფიქრებელი ამბავია.

როგორც სჩანს, ტრამვაისა და ტროლეიბუსების ტრესტის პარტორგანიზაციას ჯერ კიდევ ღრმად ვერ შეუგნია, რომ კომუნისტი უნდა „წარმოადგენდეს ნიმუშს წარმოებაში, პირადად საქმით უჩვენებდეს პატიოსანი, თავგანწირული მუშაობის მაგალითს, თავისი მაგალითით იტაცებდეს სხვებს".

ვის უნდა იტაცებდეს ზანთარიას მაგალითი, თუ არ გამცდენებსა და შრომის დეზორგანიზატორებს! გამცდენისადმი ასეთი ლმობიერი დამოკიდებულება ხელს უწყობს შრომის დისციპლინის დაცემას. აღსანიშნავია, რომ კომუნისტმა გარეგინ პოღოსის-ძე მკრტიჩიანმაც 13 აგვისტოს 30 წუთით დაიგვიანა სამუშაოზე. ცალკეული კომუნისტები მის მიმართაც დიდ გულჩვილობას იჩენენ. — როგორ, მკრტიჩიანი გაირიცხოს პარტიიდან? არა, ეს არ მოხდება, — ფიქრობენ ისინი.

შემთხვევითი არ არის ის ამბავი, რომ თბილისის ტრამვაისა და ტროლეიბუსების ტრესტში ხშირად აქვს ადგილი გაცდენისა და სამუშაოზე დაგვიანებით გამოცხადების შემთხვევებს. მათ შორის არიან კომუნისტები და კომკავშირელები, რომლებმაც ძალიან ცუდი მაგალითი უჩვენეს დანარჩენ მუშებსა და მოსამსახურეებს.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის სტალინის სახელობის რაიკომის ბიურო უთუოდ გამოასწორებს ტრამვაისა და ტროლეიბუსების ტრესტის პარტორგანიზაციის მიერ დაშვებულ შეცდომას და ძირშივე აღკვეთს იმ შეუწყნარებელ ლმობიერ დამოკიდებულებას, რომელსაც პარტორგანიზაცია იჩენს გამცდენებისადმი.

აქ. შონია

მეტი ყურადღება პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას

(ფოთი, საქ. კორესპონდენტისაგან)

ფოთის გემთშემკეთებელი ქარხნის კოლექტივი (დირექტორი — ამხ. ვ. ბოლქვაძე) ფართოდ გამოეხმაურა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ა. წ. 10 ივლისის ბრძანებულებას „სამრეწველო საწარმოთა მიერ ცუდი ხარისხის ან არაკომპლექტური პროდუქციის გამოშვებისათვის და სავალდებულო სტანდარტების დაუცველობისათვის პასუხისმგებლობის შესახებ". ქარხნის ინჟინერ-ტექნიკოსთა და სტახანოველთა თათბირზე აღინიშნა, რომ მიმდინარე წლის პირველ ნახევარში ამ მხრივ ყველაფერი რიგზე არ იყო. ადგილი ჰქონდა წუნდებული და არასტანდარტული პროდუქციის გამოშვების 70-მდე შემთხვევას, რითაც გამოწვეული ზარალი 3.625 მანეთს შეადგენს. აქვე აღინიშნა, რომ ყველაზე მეტი წუნი საჩამომსხმელო საამქროზე მოდის. მარტო იქ წუნის 30 შემთხვევა იყო, რის მთავარი მიზეზი ის არის, რომ არა ჰყავთ საქმის მცოდნე სპეციალისტები. ეს საკითხი რამდენჯერმე დაისვა ადმინისტრაციის წინაშე, მაგრამ დღემდე ზომები არ მიუღიათ.

უნდა აღინიშნოს, რომ საჩამომსხმელო საამქროს სხვა მხრივაც არ უწყობენ ხელს. დღემდე საჭირო რაოდენობით არა ჰყავთ დამხმარე მუშები, არა აქვთ დამხმარე მასალები, არც მექანიზაციის საქმეა მოწესრიგებული.

ხშირად ადმინისტრაცია ვერ ამარაგებს საამქროებს საჭირო ხარისხის ნედლეულით, რის გამო ადგილი აქვს წუნდებული მასალის გამოშვებას. ასე, მაგალითად, რემონტში მდგომი ბარჟისათვის საჭირო 225 მოქლონი გამოჭრილ იქნა არასტანდარტული მასალისაგან და დაწუნებულ იქნა ტექნიკური კონტროლის განყოფილების მიერ. ამ საქმის შესრულებაზე 24 სამუშაო საათი დაიკარგა. ასეთი შემთხვევები აქ იშვიათი არ არის.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების განხილვის შემდეგ ქარხანაში მდგომარეობა საგრძნობლად შეიცვალა. თუ ივლისის პირველ ნახევარში ადგილი ჰქონდა წუნდებული პროდუქციის გამოშვებას 7-ჯერ, ამავე თვის მეორე ნახევარში ეს 3-მდე შემცირდა. გარდაიქმნა ტექნიკური კონტროლის განყოფილების მუშაობაც, აქ განყოფილების გამგედ დაწინაურებულ იქნა ამხ. გ. გარუჩავა. იგი ენერგიულად შეუდგა მუშაობას. თუ წუნდებული პროდუქციის გამოშვებისათვის მუშა დღემდე მხოლოდ ჯარიმდებოდა, ახლა წუნის გამომშვებთა წინააღმდეგ, გარდა აღკვეთის ზომებისა, რაც კანონით არის გათვალისწინებული, დარაზმულია ქარხნის მთელი საზოგადოებრივი აზრი. საამქროებში მუშაობის ხელშემშლელი მიზეზების სალიკვიდაციოდ ტექნიკური კონტროლის კომისიამ მწვავედ დააყენა საკითხი ადმინისტრაციის წინაშე, და კიდეც გატარდა სათანადო ღონისძიებანი, მაგრამ ეს არ კმარა. საჭიროა ქარხნის ადმინისტრაცია უფრო დროულად და საქმიანად გამოეხმაუროს სპეციალისტებისა და ტექნიკური კონტროლის განყოფილებათა სიგნალებს და ყოველმხრივ შეუწყოს ხელი მაღალი ხარისხის პროდუქციის გამოშვებას.

ქ. ტაბაღუა

უკანასკნელი ცნობები

საჰაერო ბრძოლა ლონდონში

ნიუ-იორკი, 19 აგვისტო (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტო იუწყება, გუშინ 12 საათზე გრინვიჩის დროით ლონდონში ყუმბარა ჩამოჰყარეს. ქალაქის თავზე ბრძოლა სწარმოებდა ინგლისის ავიაგამანადგურებლებსა და გერმანიის თვითმფრინავებს შორის.

ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ცნობით, გუშინ დილით ინგლისის აღმოსავლეთ სანაპიროზე შეამჩნიეს გერმანიის დიდძალი თვითმფრინავი, რომლებიც დიდ სიმაღლეზე მიფრინავდნენ ინგლისის ცენტრისაკენ. ერთერთმა თვითმფრინავმა ყუმბარა ჩამოჰყარა სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროს რაიონში. გერმანიის იმ 24 თვითმფრინავთაგან, რომლებიც ლონდონში გამოჩნდნენ, ერთი ყუმბარმშენი ჩამოგდებულ იქნა ქალაქის ცენტრალურ ნაწილში.

იუნაიტედ პრესის სააგენტოს ლონდონელი კორესპონდენტი იუწყება, რომ პიკადილის ცენტრალურ მოედანზე ძლიერი აფეთქება მოხდა. როგორც ფიქრობენ, ეს აფეთქება მოხდა გერმანიის ან ინგლისის თვითმფრინავის მიწაზე დავარდნის გამო. ბურუსიანი ამინდი საშუალებას არ იძლეოდა ზუსტად გამორკვეულიყო, თუ გერმანიის რამდენი თვითმფრინავი გამოჩნდა ლონდონში. არსებული ცნობებით, ქალაქის მიდამოებში ბომბარდირებით დაინგრა მრავალი სახლი.

იუნაიტედ პრესის სააგენტოს ცნობებით გუშინ ლონდონზე თავდასხმაში გერმანიის 100-ზე მეტი თვითმფრინავი მონაწილეობდა.

ინგლის-გერმანიის საჰაერო ომი

გერმანიის ცნობები

ბერლინი, 19 აგვისტო (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურომ გუშინ საღამოს გამოაქვეყნა გერმანიის სარდლობის შემდეგი ცნობა:

„ლონდონის რაიონსა და გემპის საგრაფოში საჰაერო დაზვერვის დროს გერმანიის ესკადრილიების მოქმედება ყვლავ დიდი წარმატებით დაგვირგვინდა. გერმანიის ყუმბარმშენებმა იერიშები მიიტანეს მნიშვნელოვან სამხედრო ობიექტებზე, სახელდობრ რამდენიმე აეროდრომზე ლონდონის მიდამოებში და მრავალი თვითმფრინავი მოსპეს მიწაზე. საჰაერო შეტაკების დროს გერმანიის ავიაგამანადგურებლებმა და ყუმბარმშენებმა დიდძალი თვითმფრინავი ჩამოაგდეს. 18 აგვისტოს განმავლობაში უკვე მოსპობილია მტრის 138 თვითმფრინავი. აქამდის ბაზაში არ დაბრუნებულა გერმანიის 34 თვითმფრინავი".

ბერლინი, 18 აგვისტო (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო იუწყება, რომ გუშინ პორტსმუტი (ინგლისი) გააფთრებული საჰაერო ბრძოლის ერთერთ ცენტრს წარმოადგენდა. ინგლისის თვითმფრინავთა დიდი შენაერთები ამაოდ ცდილობდნენ ხელი შეეშალათ, რომ გერმანიის ესკადრილიებს გათვალისწინებულ ობიექტებამდე მიეღწიათ. „მესერშმიტის" ავიაგამანადგურებელთა რაზმმა ღობურები გაარღვია და ჩამოაგდო ინგლისის დიდძალი ავიაგამანადგურებელი. გერმანიის ყუმბარმშენები გარღვეულ ხაზში შეიჭრნენ, სისტემატური იერიშები მიჰქონდათ ობიექტებზე და ყუმბარებით მოსპეს მრავალი აეროდრომი.

ინგლისის ცნობები

ლონდონი, 19 აგვისტო (საკდესი). ინგლისის ავიაციის სამინისტრო თავის კომუნიკეში იტყობინება: 18 აგვისტოს ინგლისზე თავდასხმის დროს გერმანიის საჰაერო ძალებმა 140 თვითმფრინავი დაჰკარგესო.

ლონდონი, 19 აგვისტო (საკდესი) რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ 8 აგვისტოდან მას შემდეგ რაც ინგლისის ტერიტორიაზე გერმანიის თვითმფრინავების მასობრივი თავდასხმები დაიწყო ინგლისის საჰაერო ძალებმა დაჰკარგა 150 თვითმფრინავი. გერმანიამ ამ ხნის განმავლობაში 642 თვითმფრინავი დაჰკარგა.

ამერიკის ნოტა გერმანიას

ნიუ-იორკი, 19 აგვისტო (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ცნობით, 17 აგვისტოს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა ამერიკის საქმეთა რწმუნებულს ბერლინში გაუგზავნა ინსტრუქცია გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროსათვის ოფიციალური ნოტის გადაცემის თაობაზე. როგორც ამ ნოტაშია აღნიშნული, ა. შ. შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი იმედს გამოსთქვამს, რომ გემ „ამერიკენ ლიჯენს" (ამერიკის ლეგიონს) „გერმანიის შეიარაღებული ძალები არავითარ ზიანს არ მიაყენებენ".

როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტო აღნიშნავს, მეთვალყურეთა აზრით, ხასიათი ნოტისა, „რომელიც მკვახე დიპლომატიური გამონათქვამებით არის შედგენილი, ეჭვს არა სტოვებს, რომ გერმანიას სრული პასუხისმგებლობა ეკისრება, თუ გემს რაიმე ზიანი შიადგა". გერმანიის საელჩომ ვაშინგტონში განაცხადა: „გერმანიის მთავრობამ 18 აგვისტოს პრესაში გამოაქვეყნა კომუნიკე, სადაც ერთხელ კიდევ ხაზგასმით აღნიშნავს საფრთხეს, რაც გემს მოელის იმ ნაღმებისაგან, რომლებიც ჩაწყობილია მის მიერ გასავლელ გზაზე".

გერმანიამ ინგლისის სრული ბლოკადა გამოაცხადა

ბერლინი, 17 აგვისტო (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო გადმოგვცემს ოფიციალურ ცნობას გერმანიის მიერ ინგლისის სრული ბლოკადის გამოცხადების შესახებ.

ცნობაში აღნიშნულია, რომ ომის დასაწყისიდან ინგლისი სულ უფრო-დაუფრო მეტად არღვევდა უფლებრივ პირობებს, რომლებიც საზღვაო ომის წარმოებას ეხება (იმის გამოცხადება, რომ კვების ყველა პროდუქტს ინგლისი კონტრაბანდად ჩასთვლის; განკარგულება, რომელიც კონტრაბანდას მიაკუთვნებს გერმანული წარმოშობის ყოველ საქონელს, იმ საქონელსაც კი, რომელიც ნეიტრალურ ქვეყნებს ეკუთვნოდათ და გერმანიიდან გაჰქონდათ ნეიტრალური ქვეყნების გემებით; ინგლისის სავაჭრო გემების შეიარაღება, რაც სავაჭრო წესებს ეწინააღმდეგება და რაც გატარებულია იმ მიზნით, რომ სავაჭრო გემები გერმანიის წყალქვეშა ნავებზე თავდასხმის საშუალებად გამოიყენონ; ნეიტრალური ქვეყნების ბაირაღების ბოროტად გამოყენება და სხვ.). შემდეგ ცნობაში ნათქვამია, რომ ინგლისი იყენებდა მცურავ ნაღმებს, საომარი მოქმედების მიზნით ხმარობდა სავაჭრო გემებს, ხელთ იგდებდა ნორვეგიის, დანიის, ჰოლანდიის, ბელგიისა და საფრანგეთის სავაჭრო გემებს, ცდილობდა დაემორჩილებინა ნეიტრალური ქვეყნების ფლოტი ინგლისის კონტროლისათვის, ნაღმებით გადაღობა მრავალი ნავსადგურისა და მდინარის გასასვლელი. ამ ღონისძიებათა შედეგად ინგლისმა საომარი ოპერაციების რაიონად გადააქცია მთელი საზღვაო სივრცე რომელიც კუნძულებს გარს აკრავს. ინგლისის ეს მოქმედება მიმართულია ყველა საერთაშორისო უფლების წინააღმდეგ; აღნიშნულმა მოქმედებამ შეჰქმნა ისეთი მდგომარეობა, როცა ნამდვილად ნეიტრალურ გემს არ შეუძლია ამ ზღვებში შესვლა.

გერმანია, — ნათქვამია ცნობაში, — თვალყურს ადევნებდა ყველა აღნიშნული მოქმედების განვითარებას და მოელოდა ინგლისისაგან ომის წარმოების ამ მეთოდების შეწყვეტას. მაგრამ ეს იმედი ამაო გამოდგა. ამიტომ გერმანიამ გადასწყვიტა უპასუხოს ინგლისელებს იმავე მეთოდებით და გამოიყენოს ისინი განურჩევლად ყველა გემის მიმართ, რომლებიც კი ინგლისის გარშემო დასცურავენ.

გერმანია ახლა უპასუხებს ბრიტანეთის კუნძულების სრული ბლოკადით, რომელიც შედის ძალაში ამ დეკლარაციის გამოქვეყნების მომენტიდან.

ცნობაში ნათქვამია: გერმანია დარწმუნებულია, რომ აცხადებს რა ბრიტანეთის კუნძულების სრულ ბლოკადას, იგი ახალ გადამწყვეტ ზომას იღებს ომის დასამთავრებლად და ინგლისის ახლანდელი მმართველების მოსასპობად, რომელნიც პასუხისმგებელნი არიან ომისათვის. თავისი ოპერაციებისათვის გერმანიის სარდლობა მაქსიმალურად გამოიყენებს სტრატეგიული მდგომარეობის იმ უპირატესობებს, რომლებიც გერმანიის შეიარაღებულ ძალებს აქვთ ბისკაიიდან ნორდკაპამდე არსებული კონტინენტის სანაპიროზე ბატონობის მეოხებით.

ცნობაში შემდეგ აღნიშნულია, რომ ინგლისი ახლაც ცდილობს გაავრცელოს ბლოკადა ისეთ ევროპულ სახელმწიფოებზე, როგორიც არიან ნორვეგია, დანია, ჰოლანდია, ბელგია, საფრანგეთი შვეცია, ესპანეთი და პორტუგალია და რომ მას განზრახვა აქვს ოკეანიდან მომარაგების მიღების შესაძლებლობა მოუსპოს იმ ქვეყნებს, რომლებიც სრულიად არ მონაწილეობენ კონფლიქტში, როგორიც არიან, მაგალითად, საბჭოთა კავშირი და იაპონია, მასთან აცხადებს თითქოს გერმანია სარგებლობდეს იმ საქონლით, რომელიც ამ ქვეყნებში შეაქვთ.

შემდეგ ცნობაში აღნიშნულია, რომ ზოგიერთმა ქვეყანამ, მაგალითად, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და არგენტინამ, უკვე დიდი ხანია განაცხადეს, რომ ინგლისის გარშემო არსებული წყლები საომარ ზონად მიაჩნიათ, და თავიანთ გემებს, თვითმფრინავებსა და მოქალაქეებს აუკრძალეს ამ ზონებში ყოფნა. მაგრამ სხვა სახელმწიფოებს ამგვარი ზომები ჯერ კიდევ არ მიუღიათ. გერმანიამ, რომელმაც რამდენჯერმე გააფრთხილა ეს ქვეყნები არ გაეგზავნათ თავიანთი გემები ამ ზონაში, ამ სახელმწიფოებისადმი მიმართული თავისი ნოტით ერთხელ კიდევ მოსთხოვა მათ აუკრძალონ თავიანთ გემებს ამ საომარ ზონაში ნაოსნობა.

გერმანიის მთავრობამ თავის მხრივ უნდა განაცხადოს, რომ საზღვაო ომი იმ ზონაში, რომელიც ინგლისს გარს აკრავს, სავსებით გაჩაღებულია. მთელი ეს ზონა დანაღმულია. თვითმფრინავები თავს ესხმიან ყველა გემს. ნეიტრალური ქვეყნის ყოველი გემი, რომელიც ამ ზონაში იქნება, ჩაძირვის საფრთხეში აგდებს თავის თავს. გერმანიის მთავრობა რაიმე გამონაკლისის დაუშვებლად ამიერიდან ყოველგვარ პასუხისმგებლობას იხსნის თავიდან იმ ზარალისათვის, რაც შეიძლება მოუვიდეს რომელიმე გემს ან პირს ამ ზონაში.

გერმანიის ნოტა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისადმი

ნიუ-იორკი, 18 აგვისტო (საკდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტოს ბერლინელი კორესპონდენტის ცნობით, გერმანიამ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას ოფიციალური ნოტა გაუგზავნა, რომლითაც აფრთხილებს, რომ გემი „ამერიკის ლეგიონი", რომელიც ევროპიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში ბრუნდება, (გამოტოვებულია). გემმა უნდა გაიაროს მეომარი ქვეყნების დანაღმული წყლები, სადაც მოსალოდნელია საჰაერო და სამხედრო-საზღვაო საომარი მოქმედება. გერმანია თავისი ნოტით ამერიკის შეერთებულ შტატებს აფრთხილებს, რომ გერმანია ყოველგვარ პასუხისმგებლობას იხსნის შესაძლებელი შედეგების გამო.

* * *

ნიუ-იორკი, 18 აგვისტო (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ვაშინგტონელი კორესპონდენტი იუწყება, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა გამოაცხადა: იგი უარს ამბობს გეზი შეუცვალოს გემს „ამერიკის ლეგიონს", რომელიც სკანდინავიიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში მიდის, მიუხედავად იმისა, რომ გერმანიამ გაფრთხილება მოგვცა—პასუხისმგებლობას ვიხსნი იმ შედეგებისათვის, რაც შესაძლებელია მოჰყვეს გემის გავლას რასის კონცხსა (შოტლანდიის ჩრდილო-დასავლეთი სანაპირო) და რონეის კუნძულს შორის მდებარე რაიონში, რომელიც შედის ინგლისის ბლოკადის გერმანულ ზონაშიო. სახელმწიფო დეპარტამენტმა განაცხადა: ყველა მეომარმა ქვეყანამ, მათ შორის გერმანიამ, დაპირება მოგვეცეს, რომ ისინი არავითარ ზიანს არ მიაყენებდნენ გემ „ამერიკის ლეგიონს". სახელმწიფო დეპარტამენტი ამტკიცებს, რომ მას არ შეუძლია გეზი შეუცვალოს გემს ან გადასდოს მისი ამერიკაში წასვლა, რადგან გემს სურსათის მარაგი გამოელია.

გემ „ამერიკის ლეგიონში" 897 მგზავრია, უმთავრესად ამერიკელები, რომლებიც სკანდინავიიდან და ბალტიის ქვეყნებიდან ამერიკას ბრუნდებიან.

მგზავრებს შორის არიან: ამერიკის დესპანი ნორვეგიაში ჰარიმანი, დიპლომატიური მისიის წევრები და მათი ოჯახები, შვეციის კრონ-პრინცის ცოლი და სხვები.

შვეციის საგარეო საქმეთა მინისტრის გიუნტერის სიტყვა

სტოკჰოლმი, 18 აგვისტო (საკდესი). 16 აგვისტოს შვეციის რიკსდაგში შვეციის საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ განცხადებით გამოვიდა საგარეო საქმეთა მინისტრი გიუნტერი. გიუნტერმა აღნიშნა, რომ შვეციას არცერთ სახელმწიფოსთან ისეთი ურთიერთობა არა აქვს, რასაც არ შეიძლებოდეს ეწოდოს კარგი და მეგობრული ურთიერთობა. შემდეგ მან აღნიშნა, რომ საერთო მდგომარეობა ამჟამად მეტად მერყევია. დაახასიათა რა შვეციისა და გერმანიის მთავრობებს შორის 8 ივლისს დადებული შეთანხმება შვეციაზე გერმანიის ჯარის ტრანზიტის შესახებ, მინისტრმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ შეთანხმება ითვალისწინებს სხვადასხვა ტვირთის ტრანზიტსა და შვებულებაში მიმავალ გერმანელ ჯარისკაცთა სპეციალურ მატარებლებით გავლას იმ პირობით, თუ ისინი თავიანთ იარაღს ნორვეგიაში დასტოვებენ.

შემდეგ მინისტრმა აღნიშნა, რომ შვეციის მთავრობამ პასუხი გასცა ინგლისისა და ნორვეგიის პროტესტს ამ შეთანხმებასთან დაკავშირებით. გიუნტერმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ შვეცია ნეიტრალურ ქვეყნად რჩება.

შეეხო რა საბჭოთა კავშირთან სავაჭრო ურთიერთობას, გიუნტერმა სთქვა: „ერთი ხანია მოლაპარაკება სწარმოებს საბჭოთა კავშირთან ვაჭრობის შესახებ. შვეციის ეკონომიკა თანაბრად დაინტერესებულია როგორც საბჭოთა საქონლის იმპორტის გადიდებით, ისე საბჭოთა კავშირში შვეციის ზოგიერთი საექსპორტო საქონლის შეზიდვის გადიდებით. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ მოლაპარაკება, რასაც მოსკოვში განვაგრძობთ, მალე ორივე ქვეყნის ეკონომიკას მოუტანს დადებით და ხელსაყრელ შედეგებს".

გამოფენის გახსნა ვარნაში

სოფია, 18 აგვისტო (საკდესი). გუშინ, დილით, ქალაქ ვარნაში ზეიმით გაიხსნა მეცხრე საერთაშორისო გამოფენა. გამოფენის გახსნის წინ ქალაქის თეატრში გამართულ საზეიმო სხდომაზე გამოფენის მნიშვნელობის შესახებ სიტყვა წარმოსთქვა ვაჭრობის, მრეწველობისა და შრომის მინისტრმა ზაგოროვმა. ზაგოროვის სიტყვის შემდეგ გამოვიდნენ გამოფენის მონაწილე უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლები. დამსწრენი მხურვალე ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ სსრ კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლის ამხ. ლავრიშჩევის გამოსვლას.

დილის 11 საათზე გაიხსნა საბჭოთა პავილიონი. ლამაზად გაფორმებული საბჭოთა პავილიონი მნახველთა ყურადღებას იპყრობს თავისი ექსპონატების მრავალფეროვნებით. მნახველები განსაკუთრებით დიდ ინტერესს იჩენენ „სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და იარაღების" განყოფილებისადმი.

გუშინ უქმი დღე იყო, მაგრამ მიუხედავად ამისა, საბჭოთა პავილიონის ნახვა 7 ათასზე მეტმა კაცმა მოასწრო.

გამოფენის გახსნისათვის აქ მოვიდა გერმანიის, იუგოსლავიისა და სხვა ქვეყნების საქმიანი წრეების მრავალი წარმომადგენელი.

მნახველთა შორის დიდი წარმატებით სარგებლობს სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენისადმი მიძღვნილი ფოტოგამოფენაც, რაც მოწყობილია ბულგარეთის პავილიონში, სავაჭრო სასწავლებლის შენობაში.

პარტიული ცხოვრება

პარტიაში მიღებას სერიოზული ყურადღება

(სტალინირი, „კომუნისტის“ კორესპონდენტისაგან)

სტალინირის საქალაქო პირველადი პარტორგანიზაციები საგრძნობლად გაიზარდნენ და განმტკიცდნენ XVIII პარტყრილობის შემდეგ. ხელმძღვანელობდნენ რა XVIII პარტიული ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებითა და დიდი **სტალინის** ბრძნული მითითებებით, მათ საკ. კ. პ. (ბ) რიგებში მიიღეს მოწინავე სტახანოველები, ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები და სხვ.

შედარებით კარგად მუშაობს სტალინირის კ. ხეთაგუროვის სახელობის სახელმწიფო თეატრის პირველადი პარტორგანიზაცია. პარტიაში მისაღებთა ინდივიდუალური შერჩევის პრინციპის მტკიცედ დაცვით პარტორგანიზაციამ (მდივანი ამხ. ალ. ხასიევი) საკ. კ. პ. (ბ) რიგებში მიიღო მოწინავე მსახიობი არ. მაისურაძე, ახალგაზრდა დრამატურგი ნ. შავლოხოვი, მოწინავე მსახიობი ქალები მ. მელკოევა და ნინა ჩაბიევა.

პირველადი პარტორგანიზაციების უმრავლესობაში კარგად არის დაყენებული ახალ მიღებულებთან მუშაობის საკითხი. მათ მიცემული აქვთ პარტიული დავალებები. პარტიის წევრობის კანდიდატები ყოველდღიურად ეჩვევიან და სწავლობენ პარტიული მუშაობის საკითხებს. ბევრგან გაბედულად ხდება ახალგაზრდა კომუნისტების დაწინაურება პასუხსაგებ პარტიულ სამუშაოზე. სახელმწიფო თეატრის მსახიობი ნინა ჩაბიევა პარტიის წევრად მიღების შემდეგ არჩეულ იქნა ამავე პარტორგანიზაციის მდივნის მოადგილედ. აგრეთვე ახალგაზრდა კომუნისტი ვ. ჩოჩიევი დააწინაურეს პირველადი პარტორგანიზაციის მდივნის მოადგილედ; სახელმწიფო თეატრის მსახიობი, კომუნისტი არ. მაისურაძე კედლის გაზეთის რედაქტორია.

მაგრამ ამასთან ერთად არ შეიძლება არ აღინიშნოს ის ზოგიერთი დამახინჯებანი, რაც ზოგიერთ პარტორგანიზაციას აქვს პარტიაში ახალ წევრთა მიღების საქმეში. ამის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ რამდენიმე დამახასიათებელ ფაქტს. № 1 საშუალო სკოლის პირველადმა პარტორგანიზაციამ (მდივანი ამხ. შ. ხუხაშვილი) ყოველგვარი წინასწარი შემოწმების გარეშე პარტიის რიგებში მიიღო გერმანული ენის მასწავლებელი ი. ქ. მეტად საგულისხმოა ი. კ-ს განცხადების დაწერის თარიღი და პარტიულ კრებაზე ამ განცხადების განხილვის საქმე. ი. კ-ს განცხადება, მისი პარტიაში მიღების შესახებ, დათარიღებულია 1940 წლის 11 აპრილის რიცხვით, ხოლო სკოლის პარტორგანიზაციას ამხ. შ. ხუხაშვილის „ინიციატივით“ ეს განცხადება განუხილავს იმავე დღეს პარტიულ კრებაზე. როგორ მოხდა ეს?

პარტორგანიზაცია არ დაინტერესდა იმაში, რომ კარგად შეესწავლა ი. ქ., რამდენად ღირსი იყო იგი ლენინ-სტალინის დიადი პარტიის წევრობისა. ხელაღებით მიიღო რა იგი პარტიაში, ამით უხეშად დაამახინჯა პარტიაში მისაღებთა ინდივიდუალური შერჩევის პრინციპი. პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიურომ კ-ს უარი უთხრა პარტიაში მიღებაზე, როგორც ლენინ-სტალინის პარტიისათვის შეუფერებელს.

სამხრეთ-ოსეთის მთავლიტის პირველადმა პარტორგანიზაციამ (მდივანი ი. კუდუხოვი) ამასწინათ განიხილა კორექტორ გ. ტოტროვის განცხადება მისი პარტიაში მიღების შესახებ და თავის რიგებში მიიღო იგი. აღმოჩნდა, რომ ტოტროვი საკოლმეურნეო პირუტყვის მოპარვისათვის სასამართლოს მიერ პასუხისგებაში ყოფილა მიცემული. ეს ფაქტი მთავლიტის პარტორგანიზაციას მხედველობიდან გამორჩა.

კიდევ უფრო კურიოზულ შემთხვევას ჰქონდა ადგილი სამხრეთოსეთის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომთან არსებული ხელოვნების საქმეთა განყოფილების პირველადს პარტორგანიზაციაში. აქ ყველამ კარგად იცოდა, რომ ი. პილიევი ყალბი საბუთების შედგენისათვის პირველად 1931 წელს, ხოლო მეორედ 1939 წელს მიცემული იყო სისხლის სამართლის პასუხისგებაში; ეს შეტანილ იქნა მის ანკეტაშიც, მაგრამ პარტორგანიზაციის მდივანმა ზ. გაგლოევმა, რატომღაც საჭიროდ არ სცნო ბოროტმოქმედ პილიევისთვის უარი ეთქვა პარტიაში მიღებაზე. პარტიის საქალაქო კომიტეტმა გააუქმა პარტორგანიზაციის ეს გადაწყვეტილება პილიევის პარტიაში მიღების შესახებ.

საოლქო სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკი ი. მამისთვალოვი გამუდმებით ეწეოდა მაღაზიაში საქონლის გადამალვას და სპეკულაციას. იგი ანიავებდა სახელმწიფო საქონელს. ეს გაგებული ჰქონდა პარტორგანიზაციასაც, მაგრამ ამ გარემოებამ ი. მამისთვალოვს სრულებით არ შეუშალა ხელი შესულიყო პარტიის რიგებში; კოოპერაციის პირველადმა პარტორგანიზაციამ იგი ხელაღებით მიიღო პარტიაში. ამის შემდეგ არ გასულა დიდი ხანი, რომ მილიციის ორგანოებმა მამისთვალოვს დანაშაულზე წაასწრეს და დააპატიმრეს.

კიდევ მეტი. ზოგიერთს პირველადს პარტიულ ორგანიზაციას ახასიათებდა და ახასიათებს პარტიის რიგების რაოდენობრივი ზრდისადმი გამოდევნების პრაქტიკა. ისინი ზოგჯერ 10-15 კაცს ერთ კრებაზე იღებდნენ პარტიის რიგებში. ამ მხრივ ყურადღების ღირსია სტალინირის პედინსტიტუტის პარტორგანიზაციის ერთერთი კრების ოქმი, სადაც პარტიაში მიუღიათ 16 ამხანაგი. როგორც ჩანს, სამწუხაროდ, არც პარტიის საქალაქო კომიტეტი დაინტერესებულა დაბეჯითებით გადაესინჯა ამ ამხანაგების სია. ისინი ერთხმად იქნენ მიღებულნი. ცხადია, რამდენიმე ხნის შემდეგ პარტიის საქალაქო კომიტეტმა ყალბი ხელწერილების შედგენისათვის პარტიიდან გარიცხა პარტიის წევრობის კანდიდატები, სტუდენტები ალ. პილიევი და დ. ალბოროვი.

პედინსტიტუტის პარტორგანიზაციაში სუსტად სწარმოებს პარტიის წევრობის კანდიდატებთან მუშაობა. აქ პრაქტიკულ სამუშაოზე საკანდიდატო სტაჟს არ იყენებენ პარტიაში ახალმიღებულთა შესასწავლად. ხშირად საკანდიდატო სტაჟის გავლის შემდეგაც კი ზოგიერთი ამხანაგისათვის უცნობია პარტიული მუშაობა, პარტიული დისციპლინა. მაგალითად გ. ზაქარეიშვილი, ქ. მედოევა და ო. ჯიოევა პარტწევრობის კანდიდატებად ითვლებიან 1938 წლიდან, როგორც ჩანს საკანდიდატო სტაჟს გადააცილეს, მაგრამ მათ სათანადოთ არ ესმით პარტიული მუშაობის საკითხები. პარტორგანიზაციის მდივანი ამხ. ქ. პლიევა ნაკლებად ზრუნავს ამ ამხანაგებზე. ამ ნაკლთა აღმოფხვრაში პირველადს პარტორგანიზაციებს უნდა დაეხმაროს საქ. კ. პ. (ბ) სტალინირის საქალაქო კომიტეტი.

ფ. ინწკირველი

ყოველდღიური საქმიანი დახმარება კომკავშირს

თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის კომკავშირული ორგანიზაცია ორჯონიკიძის სახელობის რაიონში სამართლიანად ითვლება მოწინავედ. 1 წელსა და 8 თვეში, რაც ანგარიშგებისა და არჩევნების შემდეგ გავიდა, როცა კომკავშირის კომიტეტის მდივნად არჩეული იქნა მოწინავე სტახანოველი მარო ჩიტაძე, ორგანიზაცია 165 კაცით გაიზარდა. კომკავშირის რიგებს შეემატნენ ფაბრიკის სტახანოველები, მოწინავე ადამიანები. მარტო წელს კომკავშირში მიღებულია 54 მუშა და მუშა-ქალი.

17 წლის თამარ ქავთარაძემ ივნისში დაამთავრა საფაბრიკო-საქარხნო სკოლა და ფაბრიკაში დაიწყო მუშაობა. ერთი თვის შემდეგ იგი უკვე 60 ჯარას ემსახურებოდა და გეგმას 115-120 პროცენტით ასრულებდა. ახალგაზრდა, ნიჭიერი მუშა ქალი ფაბრიკის კომკავშირელებმა სიხარულით მიიღეს თავის რიგებში. კომკავშირში მიღებული არიან მარო ლაფიაშვილი, გიორგი დემუროვი და სხვა მოწინავე სტახანოველები.

ფაბრიკის პარტიული ორგანიზაცია ყოველდღიურად ზრუნავს კომკავშირისათვის, საქმიანად ეხმარება კომკავშირელებს გაიზარდონ წარმოებაში, მათ ლენინ-სტალინის პარტიის უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით ზრდის.

კომკავშირელი გიორგი დემუროვი სექტემბერში მიდის წითელ არმიაში. დისციპლინის მხრივ მას ყველაფერი რიგზე არა ჰქონდა. ხშირად ექიშპებოდა საამქროს ხელმძღვანელს, არღვევდა წესრიგს. საამქროს პარტბიუროს მდივანი ამხ. შ. ზამთარაძე არაერთხელ ესაუბრა მას, განუმარტა, რომ მისი ყოფაქცევა არ შეჰფერის კომკავშირელის სახელს, მაგრამ დემუროვი თავისას მაინც არ იშლიდა. მაშინ ამხ. ზამთარაძემ დასვა საკითხი კომკავშირელთა კრების მოწვევის შესახებ. ამ კრებაზე სასტიკად, მაგრამ საქმიანად იქნა გაკრიტიკებული დემუროვის საქციელი. ყოველივე ამან სათანადო შედეგი გამოიღო. ახლა დემუროვი მოწინავე სტახანოველია, სამაგალითოა იგი დისციპლინის მხრივაც.

ფაბრიკის პარტბიუროს მდივანმა ამხ. გოგუამ ივნისში მოიწვია კომკავშირის აქტივის თათბირი, რათა განეხილათ საკითხი კომკავშირელების მიერ თავდაცვითი ნორმების ჩაბარების შესახებ. ფაბრიკის 52 წვევამდელმა წარმატებით ჩააბარა ვოროშილოველი მსროლელის, საჰაერო-ქიმიური თავდაცვისა და სანიტარული თავდაცვის ნორმები. ცუდად იყო მშთ-ს ნორმების ჩაბარების საქმე. მშთ-ს ნორმების კომპლექსიდან წვევამდელებს მხოლოდ 2-3 ნორმა ჰქონდათ ჩაბარებული. თათბირზე გადასწყდა გამოეყოთ გამოცდილი ფიზკულტურელები, კომკავშირის კომიტეტის წევრები შ. რაზმაძე, ს. ხატიაშვილი, აგრეთვე კომკავშირელები ი. წიტაიშვილი, ლ. სულაძე, რათა მათ წვევამდელებისათვის დახმარება გაეწიათ ნორმების ჩაბარებაში. ახლა იშვიათია ისეთი წვევამდელი, რომელსაც 8 ნორმა არა ჰქონდეს ჩაბარებული.

აპრილში ფაბრიკის პარტორგანიზაციის ბიურომ განიხილა საკითხი კომკავშირელთა შორის დისციპლინის მდგომარეობის შესახებ, გამოიტანა კონკრეტული დადგენილება, თვალყური ადევნა მის შესრულებას. ამის შემდეგ კომკავშირელთა შორის დისციპლინა საგრძნობლად განმტკიცდა.

ფაბრიკის კომკავშირელთა შორის იზრდება პარტიის ღირსეული შევსება. პარტიის რიგებში შევიდნენ: კომკავშირის კომიტეტის წევრი მიმსკვნელი თამარ მჭევაშვილი, რომელიც გეგმებს 115-120 პროც. ასრულებს, კომკავშირელი მქსოველი მარო დგებუაძე, რომელიც 4 დაზგას ემსახურება და სისტემატურად გადაჭარბებით ასრულებს გეგმებს და სხვ. 11 კომკავშირელი მიღებულია საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატებად.

ფაბრიკის პარტორგანიზაციის ბიურომ განიხილა საკითხი კომკავშირელთა მზადების შესახებ კომკავშირული ხელმძღვანელი ორგანოების საანგარიშო-საარჩევნო კამპანიისათვის. სათანადო ინსტრუქცია დაყვანილია თვითეულ კომკავშირელამდე. (საქდესი).

თბილისის დეპოს კომკავშირული კომიტეტის მდივანი ს. ლეკვეიშვილი (მარცხნით) ესაუბრება მემანქანე-კომკავშირელებს კომკავშირის მიმდინარე საკითხებზე.

ფოტო გ. ჩერკასოვისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

საქართველოს დედაქალაქი მუშურ-გლეხური წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის რიგებში გაწვევის წინ

(საუბარი თბილისის ქალაქის სამხედრო კომისარ მაიორ ა. პ. ოდიშარიასთან)

საქართველოს დედაქალაქი მუშურ-გლეხური წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის რიგებში მორიგი გაწვევის უკეთესად მომზადებისა და ჩატარებისათვის ეჯიბრება ამიერკავკასიის ორი სხვა რესპუბლიკის დედაქალაქებს — ბაქოსა და ერევანს. ამ დღეებში მუშაობა დაამთავრეს იმ ბრიგადებმა, რომლებიც ამოწმებდნენ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას. ჩვენი ბრიგადა იყო ბაქოში, ერევნელები ჩამოვიდნენ თბილისს.

წელს გაწვევისათვის მზადება გასულ წელთან შედარებით, გაცილებით უკეთ მიმდინარეობს. ეს არის ქალაქის პარტიული ორგანიზაციების, რაიკომების სამხედრო განყოფილებათა და საქალაქო კომიტეტის დიდი ყურადღებისა და დახმარების შედეგი. საქალაქო კომიტეტის ბიურომ რამდენჯერმე მოისმინა მოხსენება გაწვევისათვის მზადების შესახებ, პარტიის რაიონულ კომიტეტებს კონკრეტული მითითებანი მისცა რაიონულ სამხედრო კომისარიატებისათვის დახმარების გაწევის შესახებ.

ქალაქის მსხვილი საწარმოების პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა (სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანა, ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკა, კიროვის სახელობის ქარხანა და სხვ.), საწარმოებისა, სადაც მრავლად არიან წვევამდელები, ფართოდ გაშალეს მზადება გაწვევისათვის. ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკაში წვევამდელთაგან უკვე მომზადებულია 12 რადისტი და ტელეფონისტი.

განსაკუთრებით კარგად მუშაობენ ბერიას სახელობის რაიონის პარტიული ორგანიზაციები. აქ წვევამდელთა 82,9 პროცენტს ჩაბარებული აქვს ნორმები „ვოროშილოველი მსროლელის“ ნიშანზე, 44,7 პროცენტს — მშთ-ს ნიშანზე, 94,4 პროცენტს — მსთ-ს ნიშანზე, 87,8 პროცენტს — მსქთს ნიშანზე. ჩამორჩენილთა შორის არის მოლოტოვის სახელობის რაიონი.

წვევამდელთა შორის მუშაობის ფორმები მრავალგვარია. კიროვის სახელობის რაიონმა მოაწყო წვევამდელთა 20-კილომეტრიანი გასამხედროებული ლაშქრობა. ასეთივე ლაშქრობას აწყობს ლენინის რაიონი.

უნდა აღინიშნოს სახალხო განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების მიერ ჩატარებული დიდი მუშაობა. 210 წვევამდელი გაიგზავნა სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში. 1 ივლისისათვის დამთავრდა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია წვევამდელთა შორის. დარჩა დაახლოებით 40 მცირემცოდნე. ამ დღეებში მათთანაც დამთავრდება მუშაობა.

წელს დიდი ყურადღება დაეთმო წვევამდელების მიერ რუსული ენის შესწავლას. რუსული ენის უცოდინარი იყო 250 კაცი. ყველა ისინი მეცადინეობენ სპეციალურად შექმნილ წრეებსა და სკოლებში. წვევამდელთა უმრავლესობამ ისწავლა რუსული ლაპარაკი.

ამჟამად ვამზადებთ გასაწვევი პუნქტების შენობებს. ეს მუშაობა მალე დამთავრდება.

წვევამდელთა შორის ყველგან გაჩაღებულია ამხანაგ მოლოტოვის მოხსენების, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს VII სესიის გადაწყვეტილებათა და საყოველთაო სამხედრო ვალდებულების კანონის შესწავლა. (საქდესი).

კენია

(ცნობა)

კენია ინგლისის ერთერთი ყველაზე მდიდარი კოლონიაა აღმოსავლეთ აფრიკაში. ჩრდილოეთით კენია ესაზღვრება აბისინიას, აღმოსავლეთით იტალიის სომალსა და ინდოეთის ოკეანეს, სამხრეთით — ბრიტანეთის სამანდატო ტერიტორია ტანგანაიკას, დასავლეთით — ბელგიის კონგოსა და ინგლის-ეგვიპტის სუდანს: კენიას უკავია 583 ათასი კვადრატული კილომეტრი ფართობი; მოსახლეობა 3.300 ათას კაცს აღემატება, აქედან დაახლოებით 20 ათასი კაცი ევროპელია.

კენიას განაგებს ინგლისის გუბერნატორი.

უმნიშვნელოვანესი ქალაქებია ნაირობი (51 ათასი მცხოვრები) და მომბასა (43 ათასი).

მოსახლეობის ძირითადი მოსაქმეობაა მიწათმოქმედება და მესაქონლეობა.

მრეწველობა კენიაში სუსტად არის განვითარებული. მოიპოვება კვების მრეწველობის საწარმოები. შაქრის ქარხნები, ყავის გადამმუშავებელი საწარმოები, ბეკონის ფაბრიკა და სხვა. კენიის მთამადნეულის მარაგი თითქმის არ არის გამოკვლეული. 1931 წლიდან სწარმოებს ოქროს მოპოვება. ოქროს საძებნად გამოყოფილია 13 ათას კვადრატულ კილომეტრზე მეტი ფართობი. 1933 წელს აღმოჩენილ იქნა პლატინის საბადოები.

ადგილობრივ მცხოვრებთა შრომის პირობები უაღრესად მძიმეა. კენიაში ფაქტიურად იყენებენ ადგილობრივ მცხოვრებთა მონურ შრომას. ყოველი ადგილობრივი მცხოვრები ვალდებულია ხელისუფალთა მოთხოვნით უფასოდ იმუშაოს წელიწადში 24 დღეს და მცირე ხელფასით იმუშაოს 60 დღეს.

კენიაში შედარებით განვითარებული სარკინიგზო ქსელი არსებობს. რკინიგზების სიგრძის მხრივ კენიას ერთერთი პირველი ადგილი უკავია ტროპიკული აფრიკის კოლონიებს შორის. რკინიგზების საერთო სიგრძე 2.500 კილომეტრს აღემატება. მთავარი სარკინიგზო მაგისტრალი (1.418 კილომეტრი) მიდის მომბასიდან (ნავსადგური ინდოეთის ოკეანეში) უგანდამდე. კენიიდან გააქვთ ყავა, ბამბა, ტყავი, ქერქი, ჩაი, შაქარი, სიმინდი.

კენიას თვალსაჩინო ადგილი უკავია ინგლისის აფრიკული კოლონიების დაცვის საერთო გეგმაში. კენია საჰაერო ხაზებით დაკავშირებულია ლონდონთან, კაიროსთან, კეპტაუნთან და სხვა პუნქტებთან.

ხმელთაშუა ზღვის აუზში ომის დაწყებიდან კენია საომარი მოქმედების ერთერთი ობიექტი ხდება. ომის პირველ დღეებიდან იტალიის ავიაცია ყუმბარას უშენს კენიის მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს პუნქტებს. ივლისის განმავლობაში კენიისა და აბისინიის საზღვარზე, მოიალეს რაიონში, სერიოზული ბრძოლები ხდებოდა.

უცხოეთის პრესა იმ მოსაზრებას გამოსთქვამდა, ინგლისს განზრახვა აქვს კენიიდან დაიწყოს შეტევა აბისინიაზეო. მეორე მხრივ, აღნიშნავენ იტალიელებმა აბისინიის საზღვარზე თავი მოუყარეს დიდძალი არტილერიითა და ტანკებით აღჭურვილ მნიშვნელოვან ძალებს კენიასა და სუდანზე შესატევად. (საქდესი).

როდიონ ქორქია

ყველგან შინ

1

წვიმა უცბად წამოვიდა.

სულ რაღაც ნახევარი საათის წინ კი ცა იყო ულრუბლო, ჰაერი სუფთა და მზე მოელვარე. არავითარი ნიშანი იმისა, რომ ასე უცბად იწვიმებდა. ამიტომ იყო, რომ ლეიტენანტებმა ქივოვმა და კუზმინმა ქალაქის დათვალიერება გადაწყვიტეს. გემი საღამომდე არ გავიდოდა და, მაშასადამე, დრო ბევრი ჰქონდათ. მათ მოეწონათ ეს საოცარი ქალაქი, რომელიც ბოტანიკურ ბაღს უფრო ჰგავდა, ვიდრე ქალაქს. ყოველი სახლი ციტრუსების ბაღში იდგა, ყოველი ქუჩა ხეივანს ჰგავდა. ქუჩების პირს ფერად-ფერად ყვავილებიანი გაზონები ამშვენებდა. ზაფხულის მზის სიმხურვალეში ყოველ სახლთან ისეთი სურნელება იდგა, თითქოს ყოველ ეზოში საპარფიუმერიო მაღაზია გაეხსნათო. განსაკუთრებით ევკალიპტები მოეწონათ ლეიტენანტებს. მათ ეუცნაურათ ამ ხის ფოთლები: გრძელი, ვიწრო, ბრჭყვიალა. მზე ისე ატანდა ხეს, რომ მიწაზე ჩრდილი არ ეცემოდა.

— რა ჰქვიან ამ ქალაქს? — ჰკითხა ქივოვმა კუზმინს.

— ფოთი.

— ჰოო... ჩემთან იყო ერთი აქაური წითელარმიელი. ძალიან აქებდა თავის ქალაქს. ოღონდ წვიმიანიაო, ამბობდა. წვიმა კი არა, იწვის ყველაფერი. მაინც, როგორ იქნება ეს სამხრეთის მზე...

ახლა კი, წვიმა რომ წამოვიდა, კუზმინმა დასცინა ქივოვს:

— წვიმა გინდოდა? მიირთვი!

ორივეს გაეცინა და სირბილ-სირბილით გაეშურნენ. წვიმამ თანდათან იმატა და კოკისპირულად დაუშვა. ლეიტენანტები ევკალიპტს შეეფარნენ, მაგრამ ვერ დაიფარეს თავი. წვიმა ისე ატანდა, თითქოს ხე უფოთლო ყოფილიყო.

— არც მზეს იჯერს და არც წვიმას ეს ევკალიპტი, — სთქვა ქივოვმა, — რა უცნაური ყოფილა?

— აქ მზეც უცნაური ყოფილა, — დაუმატა კუზმინმა, — შეხედე ცას. მზე კაშკაშებს, წვიმა კი გაგიჟებით უშენს. ფენომენალურია.

— მართლაც! — წამოიძახა ქივოვმა არც თუ აღტაცებით, არც თუ გაკვირვებით. — მზე და წვიმა. ლამაზია, მაგრამ რომ გვასველებს.

ლეიტენანტები მართლაც დასველდნენ. ხალათი ტანზე მიჰკროდათ. ქუდიდან წყალი წურწურით ჩამოდიოდა. ქარი ზუზუნებდა მავთულებში, წვიმა ისევ ისე უშენდა და ქუჩის პირას ჩამწკრივებული ევკალიპტები იხნიქებოდნენ, თითქოს ეპატიჟებოდნენ ლეიტენანტებს: ჩვენთან მობრძანდითო.

— გავიქცეთ! — სთქვეს ლეიტენანტებმა, — რაც მოგვივა, მოგვივა.

მაგრამ ქუჩაში ისეთი ღვარი დადგა, რომ წასვლა არ შეიძლებოდა. ქუჩა გრძელი იყო და თავშესაფარი არსად. ყველგან მესერი და ბაღები.

უცებ იმ სახლის ფანჯარა გაიღო, რომლის პირდაპირ ლეიტენანტები იდგნენ. შავგვრემანმა გოგონამ ყვავილებიანი ვაზა წვიმას შეუშვირა.

გაწუწულმა ლეიტენანტებმა გოგონას შეხედეს, შემდეგ ერთმანეთს თვალებით უთხრეს:

— რა ეშხიანია!

გოგონამაც დაინახა ლეიტენანტები და დააკვირდა. უცებ გოგონამ გადაიკისკისა და მკერდზე კომკავშირელის ნიშანი აუთამაშდა. ქარისა, წვიმისა და ევკალიპტების ფოთლების ხმაურში ეს სიცილი ისეთი ბავშვური და გულუბრყვილო იყო, რომ ლეიტენანტებმაც გადაიხარხარეს.

გოგონა მოსწყდა ადგილს, გააღო დარბაზის კარი, გაჩნდა პარმაღზე და ხელი დაუქნია ლეიტენანტებს.

ლეიტენანტებმა ერთმანეთს გადახედეს. ყოყმანობდნენ, მიეღოთ თუ არა მიპატიჟება.

გოგონამ ჩამოირბინა კიბე, ჭიშკართან გაჩნდა და დაიძახა:

— ამხანაგებო! მობრძანდით! მობრძანდით!

2

— აი, ასე არ სჯობია? — ღიმილით ეუბნებოდა გოგონა ლეიტენანტებს, — თქვენ კიდევ ინაზებოდით...

— ჩვენ უხერხულად მიგვაჩნდა, — დაიწყო ქივოვმა.

— აბა, გაიხადეთ ხალათები, გაწურეთ და დაჰკიდეთ აქ, დერეფანში... გადაიცვით ეს ხალათი, ჩემი ძმისაა. ისიც წითელარმიელია. მოგერგოთ? ცოტა ვიწროა, მაგრამ არა უშავს. თქვენ კი არ ვიცი რა გიყოთ, — უთხრა გოგონამ კუზმინს.

გოგონა ერთხანს ჩაფიქრებული იდგა. შემდეგ, ეტყობოდა, რაღაც მოისაზრა, მეზობელ ოთახში კარი შეაღო და გასძახა:

— დედა, შენი შალი მათხოვე! სტუმარი სულ სველია.

კარებში შუახნის ქალი გამოჩნდა. ხელში ფართო შალი ეჭირა. ქალმა თავი დაუკრა ლეიტენანტებს, შალი შვილს გადასცა და გაბრუნდა.

კუზმინმა შალი მოიხურა.

— არ მოიწყინოთ, ამხანაგებო! — უთხრა გოგონამ სტუმრებს. — გინდათ პატეფონი დაუკარით, გინდათ პიანინო. მე კი უთოს დავადგამ, რომ ხალათები გაგიუთოოთ.

ლეიტენანტები უხერხულად ჩამოსხდნენ სკამებზე, გოგონა როცა გავიდა.

— რა დროს პატეფონი და პიანინოა, — გაეცინა კუზმინს, — პერანგის ამარა ვზივარ.

— რა კეთილი ხალხია! — თქვა ქივოვმა და კედლებს თვალიერება დაუწყო. ერთ კედელზე ხალიჩა იყო ჩამოფარებული. ხალიჩა სურათებით იყო მოფენილი. ზოგი სურათი ზღვის ლოკოკინების ჩარჩოში იყო ჩასმული, ზოგი უბრალოდ, ლიათ ეკიდა.

უცებ ქივოვმა დაიყვირა:

— ჩემი სურათი! შეხედე, ამხანაგო კუზმინ, ჩემი სურათი!

კუზმინი მიუახლოვდა კედელს. ზღვის ლოკოკინების ლამაზ ჩარჩოში ქივოვის სურათი იყო ჩასმული.

— საოცარია! ვერაფერი გამიგია! — თქვა ქივოვმა.

— მისტიფიკაციაა! — გადაწყვიტა კუზმინმა, რომელსაც უყვარდა უცხო სიტყვების ხმარება იმისდა მიუხედავად, საჭირო იყო ეს უცხო სიტყვა თუ არა, — ეგებ არაა შენი სურათი? შეიძლება გავს ვინმე აქაური.

ორივე ლეიტენანტმა ცხვირი ზედ სურათთან მიიტანა.

ჭეშმარიტად, სურათი ლეიტენანტ ქივოვისა იყო. ახლა ორივემ უხმოდ შეხედა ერთმანეთს და კვლავ უხმოდ დააკვირდა სურათს.

— მოგწყინდათ, ამხანაგებო? — მოესმათ ლეიტენანტებს, — უთო ჩქარა გახურდება. თქვენი ხალათებიც ჩქარა გაშრება. მანამ კი მიირთვით ეს ლეღვი. ბაღისაა. ნაადრევია. თქვენში არის ლეღვი?

და გოგონამ ფართო სინი დასდო მაგიდაზე.

— ჩვენთან ლეღვს რა უნდა, იაროსლავლში? — გაიღიმა კუზმინმა.

— უკაცრავად! — მიმართა გოგონას ქივოვმა, — ეს სურათი ვისია? აი, ესა?

— ესა? ეს ლეიტენანტი ქივოვია, ილია ფედოროვიჩ. დიდი მეგობარია ჩვენი ოჯახისა.

— უკაცრავად, თქვენ იცნობთ ქივოვს? — ჰკითხა ქივოვმა გოგონას.

— აკი გეუბნებით, ჩვენი ოჯახის მეგობარია-მეთქი.

— ვერაფერი გამიგია! ილია ფედოროვიჩ ქივოვი მე ვარ. მე კი თქვენ პირველად გხედავთ.

გოგონა მიუახლოვდა ქივოვს, ჩააცქერდა და შესძახა:

— როგორ გავხართ ჩვენს ქივოვს, ჩვენს ილიკოს!

— აკი გეუბნებით, ქივოვი ვარ მეთქი.

გოგონა ერთხანს ყოყმანით უყურებდა ქივოვს, შემდეგ, თითქოს დარწმუნდაო, კარებისაკენ აღელვებით გასძახა:

— დედა! დედა! ვანოს ამხანაგი ყოფილა, ჩვენი ილიკო! შემოდი, ჩქარა!

— შვილო, ნუცა, რა გაკივლებს? — და კარებში ისევ გამოჩნდა ჭაღარა ქალი.

— დედა, აი ქივოვი, ილია ქივოვი! ჩვენი ვანო სიკვდილს რომ გადაარჩინა. თურმე ეს ყოფილა!

ჭაღარა ქალი დააკვირდა ქივოვს. თვალები აუცრემლდა და ხელი გაუწოდა:

— შვილო! ჩემი ვანოს მომაგე და ამხანაგი ხარ?

ქივოვი ახლა მიხვდა, თუ სად იმყოფებოდა. მას ჰყავდა ამ ქალაქიდან ერთი წითელარმიელი, გვარად ყვანია, ნიჭიერი და მამაცი მებრძოლი. წითელარმიელი ჩქარა დაწინაურდა, მეთაურთა სკოლა დაამთავრა, ქივოვს დაუმეგობრდა. უკანასკნელ ბრძოლებში ერთად მიიღეს მონაწილეობა. ერთად ისახელეს თავი. ქივოვმა იხსნა მტერშემორტყმული ყვანია, ყვანიამ კი დაჭრილი ქივოვი გამოსტაცა მტერს და სამშვიდობოს გაიყვანა. აი, ამ ამხანაგის ოჯახში მოხვედრილა ახლა ქივოვი.

ლეიტენანტი ქივოვი არ იყო გულჩვილი კაცი, მაგრამ მეგობრის დედისა და დის ცრემლებმა გული აუჩუყეს. კუზმინისა შერცხვა, თორემ ამ ქალებთან შეიძლება აცრემლებულიყო. ქივოვს ძალიან უყვარდა თავისი ქართველი მეგობარი, რომელიც ხშირად ეტყოდა: სამსახურს რომ მოვრჩებით, საქართველოში უნდა დამეპატიჟო, ვიქეიფოთო...

— როგორ? საიდან? შვილო! შვილო! — ეფერებოდა დედა ქივოვს.

— თქვენი შვილი იქ დატოვეს.

— ვიცი, წერილი მოიწერა.

— ჰო, და ჩვენ კი, მე და ეს ამხანაგი, აქეთ გამოგვგზავნეს. რადგან გემი საღამომდე არ გავა, გადავწყვიტეთ ქალაქი დაგვეთვალიერებინა. წვიმამ კი მოგვისწრო და დაგვასველა.

— რა საოცარი წვიმა იყო, — ჩაურთო კუზმინმა, — მზე კაშკაშებდა და წვიმდა კი...

— ამაზე ჩვენში იტყვიან მზე პირს იბანსო, — გაიცინა ნუცამ.

— წვიმა რომ არ ყოფილიყო, ვერც კი გნახავდით, — გაიღიმა დედამ, — სულ ვანოს ტოლი არ ყოფილხართ? გყავთ დედა?

— დიახ! ისიც თქვენის ხნისა იქნება.

— გენაცვალე, შვილო ილიკო! ჩვენ ასე შეგარქვით ოჯახში, ჩვენებურად. მიამბეთ ჩემი ვანოს ამბავი...

— ხა... ხა... ხა... — გადაიხარხარა ნუცამ და კუზმინს შალი გაუსწორა, — ლეიტენანტმა შალის მოხურვაც უნდა იცოდეს. მაშ!

3

წვიმამ რა ხანია გადაიღო. მზე ისევ ისე კაშკაშებდა. ქარი დაწყნარდა, მხოლოდ ხანდახან შეარხევდა ტანდაბანილ ხეებს. რბილი ხმაურით ცვივოდნენ წვიმის წვეთები და გასუფთავებულ ჰაერში ჩიტების ჟღურტული ისმოდა. პირდაბანილ მზეს სიფიცხე შეენელებინა და შეუმშრალ გუბეებში ათასფრად ბრჭყვიალებდა.

ლეიტენანტებმა გაუთოებული ხალათები ჩაიცვეს. დრო იყო წასვლისა.

— გაიხარეთ, შვილებო, მე რომ გამახარეთ! — უთხრა ლეიტენანტებს დედამ.

ნუცამ ორი დიდი თაიგული შემოიტანა. ლეიტენანტებს გადასცა.

როცა ნუცამ კარი გააღო და გამომშვიდობება იწყეს, ქივოვს გაუძნელდა ზღურბლზე გადმოსვლა. თითქოს საკუთარ ოჯახს ეთხოვებოდა. მოსიყვარულე შვილივით დახარა თავი ამხანაგის დედის წინაშე.

— ფენომენალური თაიგულია, — სთქვა კუზმინმა, რომ ეთქვა რამე...

ლეიტენანტები დაჰყვნენ გრძელი ქუჩის ხეივნიან ტროტუარს.

რამდენჯერმე მოიხედეს უკან და ხედავდნენ: იდგა ჭაღარა დედა და თვალებს იწმენდდა. ხოლო შავთვალა ნუცა ყვავილებს აქნევდა ჰაერში.

— რას ვიფიქრებდი, თუ ამ უცნობ ქალაქში ასე შინაურულად ვიგრძნობდი თავს? — უთხრა ქივოვმა კუზმინს.

— რა ფართო სამშობლო გვაქვს! — უპასუხა კუზმინმა, — ყველგან შინა ვართ..

საომარი მოქმედება ევროპასა და აფრიკაში

გერმანიის სარდლობის ცნობა

ბერლინი, 17 აგვისტო (საქდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო გადმოგვცემს გერმანიის არმიის უმაღლესი სარდლობის შემდეგს ცნობას: „16 აგვისტოს, დღისით და ღამით, გერმანიის ავიაციის რამდენიმე შენაერთი განაგრძობდა ოპერაციებს ინგლისის ტერიტორიაზე. მათ წარმატებით დაუშინეს ყუმბარები აეროდრომებსა და საზენიტო არტილერიის ბატარიებს და სროლა აუტეხეს ჰაერგადამღობ აეროსტატებს ინგლისის სამხრეთ - აღმოსავლეთ ნაწილში და ლონდონის მიდამოებში. გარდა ამისა, ყუმბარები დაუშინეს სამხედრო ქარხნებს ცენტრალურ ინგლისში და სანავსადგურო ნაგებობებს კარდიფსა, ნიუპორტსა და ბრისტოლში. უაიტის კუნძულის მახლობლად ჩაძირულ იქნა მტრის საესკადრო ნაღმოსანი. 16 აგვისტოს, ღამით, ინგლისის თვითმფრინავები გამოჩნდნენ გერმანიის ტერიტორიაზე და ჩამოჰყარეს ყუმბარა რამდენიმე რაიონში, მაგრამ ამით გამოწვეული ზარალი უმნიშვნელოა. ყუმბარებით დანგრეულია რამდენიმე სახლი, სამოქალაქო მოსახლეობიდან მოკლულია ორი კაცი და დაჭრილია რამდენიმე.

გუშინდელი დღის განმავლობაში მტრის საერთო დანაკლისმა მიაღწია 89 თვითმფრინავს, ამასთან 59 თვითმფრინავი ჩამოგდებულ იქნა საჰაერო ბრძოლების დროს, 23 თვითმფრინავი მოსპობილია მიწაზე და 7 თვითმფრინავი ღამით ჩამოაგდო საზენიტო არტილერიამ. მოსპობილ იქნა 22 ჰაერგადამღობი აეროსტატი. გერმანიის ავიაციამ დაჰკარგა 31 თვითმფრინავი. გერმანიის წყალქვეშა ნავებმა ჩასძირეს მოწინააღმდეგის რამდენიმე შეიარაღებული სავაჭრო გემი 25.700 ტონა საერთო წყალწყვისა. ეს გემები, რომელთა შორის იყო ერთი ტანკერი—5.700 ტონა წყალწყვისა, ძლიერი ბადრაგის თანხლებით მიდიოდნენ“.

ბერლინი, 18 აგვისტო (საქდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო გადმოგვცემს გერმანიის არმიის უმაღლესი სარდლობის შემდეგს ცნობას: „ერთერთი წყალქვეშა ნავი იუწყება, რომ მან ნაღმები ესროლა მტრის 32.300 ტონა საერთო წყალწყვის სავაჭრო გემებს. გუშინდელი დღის განმავლობაში და განსაკუთრებით 17 აგვისტოს, ღამით, ჩვენი საჰაერო ძალები ზვერავდნენ და ყუმბარებს უშენდნენ ინგლისს. მათ სამხრეთი და ცენტრალური ინგლისის ვრცელ ტერიტორიაზე წარმატებით დაუშინეს ყუმბარები აეროდრომებს, საზენიტო არტილერიის ბატარიებსა და პროჟექტორთა ჯგუფებს. ყუმბარა დაუშინეს აგრეთვე ავიამოტორის ქარხნებს ფილტონში, საავიაციო მოწყობილობის ქარხნებს ბირმინჰამის მიდამოებში, აგრეთვე სამრეწველო საწარმოებს რიდინგში და სანავსადგურო ნაგებობებს სუენსა, ევონმუტსა და ბორნმუტში. გრძელდება ნაღმების ჩაწყობა ინგლისის ნავსადგურებში.

17 აგვისტოს, ღამის განმავლობაში, ინგლისის თვითმფრინავები დაფრინავდნენ გერმანიის დასავლეთ და ცენტრალურ ნაწილში და ბელგიაში. სხვადასხვა ადგილას და, კერძოდ, დორტმუნდში მათ ყუმბარები დაუშინეს საცხოვრებელ უბნებს. მოკლული და დაჭრილია რამდენიმე მშვიდობიანი მოქალაქე. ბრიუსელის ცენტრალური ნაწილის ბომბარდირების დროს მოკლულ იქნა 4 კაცი და დაიჭრა 22 კაცი. დაჭრილთა შორის არიან ქალები და ბავშვები.

ღამის ოპერაციების დროს ჩვენმა ავიაგამანადგურებლებმა ჩამოაგდეს ინგლისის ერთი თვითმფრინავი. გერმანიის საზენიტო ბატარიებმა ჩამოაგდეს ინგლისის 4 თვითმფრინავი. გერმანიის ერთი თვითმფრინავი თავის ბაზაში არ დაბრუნებულა.

16 აგვისტოს განმავლობაში მოწინააღმდეგემ დაჰკარგა 92 თვითმფრინავი“.

გერმანიის ავიაციის მოქმედება

ლონდონი, 18 აგვისტო (საქდესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, 17 აგვისტოს განმავლობაში გერმანიის საჰაერო იერიშები ინგლისის წინააღმდეგ წინანდელ იერიშებზე გაცილებით უფრო სუსტი იყო. 17 აგვისტოს, დილით, უელსზე თავდასხმის შემდეგ, ნახევარმა დღემ სავსებით წყნარად გაიარა. ინგლისის ავიაციის სამინისტრო იუწყება: „17 აგვისტოს, მზის ამოსვლიდან 12 საათის განმავლობაში, მტერს ინგლისზე იერიშები არ მოუტანია“.

18 აგვისტოს, ინგლისზე თავდასხმების დროს, გერმანიის ავიაგამანადგურებელმა რამდენიმე ყუმბარა ესროლა ინგლისის ჩრდილოეთ-დასავლეთ სანაპიროს ერთერთ რაიონს, 9 ყუმბარა გერმანიის ავიაგამანადგურებელმა გადმოაგდო სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროს ერთერთი ქალაქის მახლობლად. მტრის თვითმფრინავები გამოჩნდნენ აგრეთვე ინგლისის ცენტრში მდებარე ორი ქალაქის თავზე.

18 აგვისტოს საჰაერო თავდასხმების დროს მტრის თვითმფრინავებმა ყუმბარები დააყარეს დიდ ტერიტორიას ინგლისის ცენტრალურ ნაწილში, მაგრამ ამ ბომბარდირებით გამოწვეული ზარალი უმნიშვნელოა. ადამიანთა მსხვერპლის შესახებ ცნობები არ არის.

ინგლისის ავიაციის მოქმედება

ლონდონი, 18 აგვისტო (საქდესი). ინგლისის ავიაციის სამინისტრო იუწყება, რომ 16 აგვისტოს, ღამით, ინგლისის ყუმბარმშენები თავს დაესხნენ სამხედრო ობიექტებს გერმანიაში. მათ ყუმბარები დაუშინეს ქიმიურ ქარხანას ლეუნაში, ბენზინსაწმენდ ქარხანას—ბელენში, ცეისის ქარხნებს — იენში, მესერშმიდტის ქარხნებს — აუგსბურგში, იუნკერსის ქარხნებს--ბერბურგში და საავიაციო ქარხანას — ფრანკფურტში. ჩვენი თვითმფრინავები თავს დაესხნენ რურს, აგრეთვე აეროდრომებს გერმანიაში და მის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე. ამ ოპერაციებიდან ინგლისის სამი თვითმფრინავი არ დაბრუნებულა. გარდა ამისა, ინგლისის ერთმა თვითმფრინავმა ყუმბარები დააყარა მტრის გემს სტავანგერში (ნორვეგია).

მოკლე ცნობები

⊙ ტოკიოს პოლიციის სამმართველოს საფაბრიკო განყოფილების ცნობების თანახმად იმ ფაბრიკებში, სადაც 500-ზე მეტი კაცი მუშაობს, 1939 წლის ივნისიდან 1940 წლის ივნისამდე, ტუბერკულოზით და სხვა სენით დაავადებულთა რიცხვი 20-30 პროცენტით გადიდდა.

⊙ გაზეთი „ნიცი-ნიცი“ (იაპონია) სწერს, რომ „ახალი წესით ცხოვრების“ დროს, რომელსაც ითვალისწინებს კონოეს კაბინეტის „ახალი პოლიტიკური სტრუქტურა“, აღარ იქნება კვების მაღალხარისხოვანი პროდუქტები, კარგი ტანსაცმელი, კარგი ხარისხის თამბაქო და გასართობები.

იტალიის სარდლობის ცნობა

რომი, 18 აგვისტო, (საქდესი). სტეფანის სააგენტო გადმოგვცემს იტალიის სარდლობის შემდეგს ცნობას: „ბრიტანეთის სომალში მოვიგეთ ბრძოლა მოწინააღმდეგის ძირითად ძალებთან, რაც 11 აგვისტოს ადალეხის რაიონში დაიწყო. ხუთი დღის გააფთრებული ბრძოლის შემდეგ, ორივე ფლანგიდან შემოვლითი მანევრის შედეგად, დაემხო ინგლისის თავდაცვითი სისტემა; ეს სისტემა შესდგებოდა დიდი ხნის წინათ აგებული გამაგრებული და მავთულღობურების ორი წყებით დაცული პუნქტებისაგან, რომლებსაც ჰქონდათ ტყვიამფრქვევებისა და არტილერიის მრავალი ბუდე. ხელთ ვიგდეთ დიდძალი სხვადასხვა იარაღი, საომარი მასალა, სურსათი და მრავალი ტყვე.

იტალიის ავიაცია, როგორც ყოველთვის, უშუალო მონაწილეობას იღებდა ბრძოლაში, ყუმბარასა და ტყვიას უშენდა მოწინააღმდეგის პოზიციებს, აგრეთვე ახდენდა შორეულ ფრენას ბერბერის ნავსადგურში მდგომ სამხედრო გემებსა და ტრანსპორტებზე თავდასასხმელად.

ინგლისელებმა უშედეგოდ დაუშინეს ყუმბარა ასაბის აეროდრომსა და ჯიგ-ჯიგას (აბისინია).

ქალაქ ბერბერასთან ჩვენი ჯარი განუწყვეტლივ განაგრძობს ბრძოლას სიმაგრეთა მეორე ხაზის დასაკავებლად. ინგლისელები ამ ხაზისაკენ იხევენ; მათ კვალდაკვალ მისდევს ჩვენი ჯარი“.

რომი, 18 აგვისტო (საქდესი). სტეფანის სააგენტო გადმოგვცემს იტალიის სარდლობის შემდეგს ცნობას:

„ჩვენი ჯარის ერთი კოლონა, რომელიც ზეილიდან გავიდა, განაგრძობდა შეტევას ბრიტანეთის სომალში და დაიკავა ბულხარი. მეორე კოლონა ლაფერუგს მიუახლოვდა.

იტალიის ჩრდილოეთ აფრიკაში მოწინააღმდეგის სამხედრო გემებმა სულ ცოტა სამსჯერ ესროლეს დიდი და საშუალო ყალიბის ქვემეხები — ბორდიის (ლიბია) და ლიბიის სხვადასხვა ობიექტს. მოკლულია ერთი ჯარისკაცი და დაჭრილია თერთმეტი. ჩვენმა ყუმბარმშენებმა დაუყოვნებლივ მიიტანეს იერიში გემებზე და გაუმართეს ბრძოლა მოწინააღმდეგის საჰაერო შენაერთებს. ჩამოგდებულ იქნა მოწინააღმდეგის „გლოსტერ გლადიატორის“ ტიპის 7 თვითმფრინავი. 3 ჩვენი თვითმფრინავი ბაზაში არ დაბრუნებულა. ერთერთმა ჩვენმა წყალქვეშა ნავმა ატლანტის ოკეანეში ჩასძირა ინგლისის ნავთსასხმელი გემი დაახლოებით 9.000 ტონა წყალწყვისა“.

ბრძოლები აფრიკაში

ლონდონი, 18 აგვისტო (საქდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ როგორც კაიროში გაიგეს, იტალიელებმა უკან დაიხიეს კაპუცოს ფორტიდან (ეგვიპტე-ლიბიის საზღვარი). საზღვაო სამინისტროს კომუნიკეში ნათქვამია, რომ, წინასწარ მიღებული ცნობებით, ბარდიისა და კაპუცოს ფორტის ბომბარდირების დროს ჩამოგდებულ იქნა მტრის სულ ცოტა 11 თვითმფრინავი. სააგენტო ადენიდან გადმოგვცემს, რომ ინგლისის საჰაერო ძალებმა ყუმბარები დაუშინეს ჯიგ-ჯიგის აეროდრომს (აბისინია). აეროდრომზე რამდენიმე ადგილას ხანძარი გაჩნდა. ჩვენმა საჰაერო ძალებმა ყუმბარები დაუშინეს აგრეთვე აეროდრომის ნაგებობებს დესში (აბისინია) და ადალეხში (ბრიტანეთის სომალი). ჩამოგდებულ იქნა მტრის ერთი ყუმბარმშენი. ყველა ჩვენი თვითმფრინავი დაბრუნდა.

ქართული ჭიდაობის მატჩები მოსკოვში „დინამოს“ სტადიონზე. ჭიდაობენ (მარცხნიდან მარჯვნივ) ონაშვილი (თბილისი) და დონღუზაშვილი (გორი). გაიმარჯვა ონაშვილმა.

ფოტო ნ. კუბეევისა (საქდესის ფოტო ქრონიკა).

ავიაციის დღის ზეიმი საქართველოში

ბათუმი

აჭარის დედაქალაქის მშრომელებმა ზეიმით აღნიშნეს სტალინური ავიაციის დღე. ქალაქი სადღესასწაულოდ არის მორთული. სახლების, სახელმწიფო დაწესებულებათა შენობების ფასადებზე მოსჩანს დიდი სტალინის, მისი სახელოვანი თანამებრძოლების, ჩვენი გმირი მფრინავების პორტრეტები.

დღისით ბავშვთა კულტურისა და დასვენების პარკში მოეწყო დიდი საავიაციო სეირნობა, რომელშიც რამდენიმე ათასმა პიონერმა და მოწაფემ მიიღო მონაწილეობა.

დღის 5 საათზე ბულვარში შესდგა ავიაციის დღისადმი მიძღვნილი მიტინგი. საღამოს ქალაქის კინოთეატრებში უჩვენეს სურათი „ავიაგამანადგურებლები“. (საქდესი).

ქუთაისი

ლამაზად და მომხიბვლელად გამოიყურება საქართველოს მეორე ინდუსტრიული ცენტრი — ქუთაისი. ყველგან მოსჩანს დიდი სტალინის, მისი სახელოვანი თანამებრძოლების, სოციალიზმის ქვეყნის ამაყი შევარდნების — ჩვენი მფრინავების პორტრეტები.

ხალხი მრავლადაა ქალაქის ცენტრალურ ბაღში, სადაც მოწყობილია საბჭოთა ავიაციისადმი მიძღვნილი გამოფენა.

საზაფხულო თეატრში, ავიაციის დღის აღსანიშნავად შესდგა საზეიმო სხდომა. (საქდესი).

კონკურსი საუკეთესო პიესაზე

საბჭოთა დრამატურგებმა შეჰქმნეს მთელი რიგი მაღალმხატვრული ნაწარმოებნი, რომელთა მეოხებით იზრდებოდა და იზრდება ჩვენი თეატრალური ხელოვნება. მაგრამ უკანასკნელ წლებში დრამატურგია და მასთან ერთად თეატრი ჩამორჩა ჩვენი ქვეყნის სწრაფ ზრდას. ჩვენს მზარდ მაყურებელს არ აკმაყოფილებს ზოგიერთი ახლანდელი პიესა, რომელსაც აკლია სიღრმე, მხატვრული სიძლიერე. პიესების რაოდენობრივ სიმცირესთან ერთად ბევრ ჩვენს დრამატურგს ახასიათებს ერთფეროვნება, თემატიკის შეზღუდვა, ხასიათების სიღარიბე. საჭიროა ახალ მაღალმხატვრულ ნაწარმოებთა შექმნა. საჭიროა ახალი კადრების ჩაბმა დრამატურგიაში. როცა ახალ კადრებზე ვლაპარაკობთ, მხედველობაში გვყავს არა მარტო დამწყები დრამატურგები, არამედ ლიტერატურის სხვა დარგების წარმომადგენლები, ჩვენი გამოჩენილი პროზაიკოსები და პოეტებიც.

აი სწორედ ამ მიზნებს—საბჭოთა დრამატურგიის იდეურ-მხატვრული დონის ამაღლებას და მით თეატრების რეპერტუარის გამდიდრებას, დრამატურგიაში ახალი კადრების მიზიდვას ისახავს მიზნად კონკურსი საუკეთესო პიესაზე.

კონკურსის პირველი ტური ტარდება რესპუბლიკებში. საქართველოში, კონკურსი, სამწუხაროდ, დიდი დაგვიანებით გამოცხადდა. ამან უთუოდ გავლენა მოახდინა კონკურსის შედეგებზე. დღევანდლამდე საორგანიზაციო კომიტეტმა მიიღო 30-მდე პიესა. ეს ერთობ ცოტაა, მით უმეტეს, რომ წინასწარი გაცნობით კონკურსზე წარდგენილ პიესათა დიდი რაოდენობა მაღალ იდეურ-მხატვრულ ღირსებას ვერ დაიკვეხნის.

კონკურსის საორგანიზაციო კომიტეტმა ივლისში ადგილებზე მიავლინა თავისი წარმომადგენლები, რომლებმაც მწერალთა და სხვა დაინტერესებულ პირთა თათბირზე გააკეთეს მოხსენებები კონკურსის შესახებ და კონსულტაცია გაუწიეს იმ ამხანაგებს, ვინც უკვე მუშაობს საკონკურსო პიესებზე. ასეთი მუშაობა ჩატარდა ბათუმში, სოხუმში, ქუთაისში, სტალინირში. მწერლებმა აღნიშნეს, რომ საკონკურსო პიესის წარდგენის ვადის—1 სექტემბრის მოახლოება დიდად შეუშლის ხელს კონკურსის წარმატებას, რადგან საქართველოში ეს მუშაობა გვიან დაიწყო. ამიტომ გამოითქვა სურვილი, რომ საკონკურსო პიესების წარდგენის ვადა გაგრძელდეს 1 ოქტომბრამდე. ამის საფუძველზე საორგანიზაციო კომიტეტმა უკვე აღძრა შუამდგომლობა საკავშირო საორგანიზაციო კომიტეტის წინაშე და მიიღო სათანადო ნებართვა.

ამრიგად, საქართველოში **კონკურსი საუკეთესო პიესაზე გაგრძელებულია 1 ოქტომბრამდე.** ეს საშუალებას აძლევს ავტორებს უფრო გულდამშვიდებით დაასრულონ მუშაობა პიესებზე. ამ კონკურსს ჩვენთვის ორმაგი მნიშვნელობა აქვს. ერთის მხრით მან უნდა მისცეს თეატრებს ახალი, მაღალმხატვრული პიესები და მეორე მხრით ჩვენს დრამატურგიას საუკეთესო საშუალება ეძლევა გამოვიდეს საკავშირო ასპარეზზე. საუკეთესო პიესები გაიგზავნება მოსკოვს მეორე ტურში მონაწილეობის მისაღებად. მეორე ტურში გამარჯვებულთა შორის ღირსეული ადგილის მოპოვებისათვის ბრძოლა ჩვენი დრამატურგიის სახელის საქმეა.

გრ. ნუცუბიძე.

თათბირი ახალ სახელმწიფო სესხის საკითხზე

სახკრედიტისა და შემნახველი სალაროების თბილისის სამმართველო 20 აგვისტოს, საღამოს 8½ საათზე, მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შენობის წითელ დარბაზში იწვევს დიასახლისთა და შინამრეწველთა შორის გავრცელებული ახალი სახელმწიფო სესხის თანხების ამკრეფრწმუნებულების საქალაქო თათბირს.

თბილისის ფარმაცევტულ ინსტიტუტში ჩარიცხულთა სია

ქართულ სექტორზე.

აბულაძე ბ. ბ., არაქელოვა მ. ს., ანთია კ. დ., ბეგაშვილი მ. ზ., ბეჟანიშვილი ქ. შ., ბერიანიძე ნ. ა., ბრეგვაძე თ. კ., ბარათაშვილი ე. ა., ბოჭორიშვილი თ. ი., ბოკუჩავა ვ. ა., ბერუჩაშვილი ნ. კ., გობოზაშვილი რ. ს., გელაშვილი ვ. ს., გიორგობიანი ქ. გ., გოცირიძე თ. ნ., გობელია ზ. რ., გაგუა ლ. კ., გიორგობიანი ო. ფ., გელაშვილი შ. ი., გამდლიშვილი თ. ი., გაჩეჩილაძე მ. ი., გომელაური ე. ლ., ენუქიძე ტ. ს., თანდაშვილი თ. რ., თურმანიძე ქ. მ., თანდილაშვილი შ. გ., კაკულია ტ. (ტასო) ვ., კვეტენაძე ე. დ., კობაძიძე მ. ს., კაცია ლ. ნ., კოპეიშვილი ლ. ე., კურდღელაშვილი მ. დ., კობახიძე ვ. ბ., კალანდაძე კ. პ., ლომჯარია ა. ბ., მეავანაძე შ. შ., მჭედლიშვილი ფ. ნ., მუსერიძე თ. ა., მკერვალიძე ე. ი., მალანია თ. ე., მიქელაძე ნ. ი., მჭედლიშვილი თ. ი., ნიკოლაიშვილი მ. მ., ნინიძე ა. კ., ნადარეიშვილი ლ. ე., ოკინაშვილი ა. ს., ოზაშვილი ლ. ი., სულაბერიძე ვ. ი., ტატიაშვილი მ. ა., ფარასტაშვილი ე. ზ., ყაზაროვი ვ. ი., ქუხიაშვილი თ. ნ., ქართველიშვილი შ. მ., ქუთელია ვ. ა., ღლანიძე ქ. ვ., ცხაკაია მ. კ., ცერცვაძე მ. ვ., ხუხია ვ. ი., ჩხეიძე გ. გ., ჩანტლაძე გ. დ., შარაბიძე ლ. ვ., შიხაშვილი მ. გ., შელია მ. გ., ჭიკაძე ე. გ., ჭიღლაძე ბ. ი., ჭანტურაია ა. გ., წულაია ა. მ., წვერიკმაზაშვილი ნ. ზ., ჯაფარიძე ს. ტ., ჯანჯღავა შ. ვ., ჯიქია ა. კ.

რუსულ სექტორზე.

აკოპიანი ა. ე., არუტიუნოვა მ. ნ., ბორისოვა ი. ა., ვოლკოვა მ. ზ., ვორსინა ა. პ., დევდარიანი ე. ა., ჯიშკარიანი ნ. გ., ერისთავი ო. დ., ზამიკულა მ. ტ., კოტოვა თ. ს., კლეპინინა ნ. ი., კლიმოვა ნ. ვ., მაყაროვა მ. ტ., მუხინა ა. პ., მეშჩერეკოვა მ. ი., პოლეშჩუკ ლ. ვ., რომანოვა ვ. ვ., სამოხვალოვი ი. პ. სოლომინა ლ. პ. სობიევა ს. ს., სოლოდილოვა ვ. ნ. სოკბეტიანი ვ. ა., ტერინა ლ. ა., ხითაროვა ნ. ი., ჩეტვერტკოვა ლ. ი., ჩხიკვაძე ლ. პ., შახბაზიანი ე. ა., ფაინ ლ. ბ.

მეცადინეობა დაიწყება 2 სექტემბერს. ვინც ამ დროისათვის არ გამოცხადდება მექანიკურად გარიცხული იქნება ინსტიტუტიდან.

თბილისის ფარმაცევტული ინსტიტუტის დირექცია.

ფეხბურთი

ბათუმის „დინამოს“ გამარჯვება

18 აგვისტოს ლ. პ. ბერიას სახელობის დინამოს სტადიონზე ჩატარდა მორიგი კალენდარული შეხვედრა ფეხბურთში საქართველოს პირველობაზე. ერთმანეთს შეხვდნენ ბათუმის „დინამოს“ და თბილისის „სპარტაკის“ ფეხბურთელთა გუნდები.

შეჯიბრება დამთავრდა ბათუმის „დინამოს“ გამარჯვებით ანგარიშით 4:3.

პარტკალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტში ამხ. სოკოლოვთან (ოთახი № 22). ორი დღის ვადაში უნდა გამოცხადდნენ: ავეტის ავაკის-ძე ავეტისოვი, ანა სპირდონის-ასული გოცირიძე, აკაკი ლუარსაბის-ძე გარდავაძე, ნიკოლოზ ემელიანის-ძე კოშელიოვი, ლევან გრიგოლის-ძე ქისტაური, ბესარიონ ერასტის-ძე კაკულია, ევდოკია კუზმას-ასული პლოტნიკოვა, ნადეჟდა პავლეს-ასული ტუზოვა, ვასილ ალექსანდრეს-ძე ციკარიძე და პოლიკარპე სიმონის-ძე ჭყონია.

ამხანაგებმა, რომლებიც თბილისში არ იმყოფებიან, უნდა აცნობონ თავიანთი ადგილსამყოფელი საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტს.

საქ. კ. პ. (ბ) ქარელის რაიკომი აცხადებს, რომ საკანდიდატო ბარათი № 216508, გაცემული დავით სიმონის-ძე **ხკანაძის** სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

დღეს კინოებში

რუსთაველის სახ. — „ჯულბარსი“, **ოქტომბერი**—„გამანადგურებლები“, **დამკვრელი** (ზაფხულის) — „ყოველდღიურობა“, **დამკვრელი** (ზამთრის) — „ზანგეზურ“, **კომკავშირელი** (ზაფხულის და ზამთრის) — „საბჭოთა ლიტვაში, საბჭოთა ლატვიაში, საბჭოთა ესტონეთში“. „მებრძოლი ახალგაზრდობა“, **სპარტაკი**— „პოეტი და მეფე“, **ლუქსემბურგის** სახ.— „ჩემი სიყვარული“, **კომინტერნი** — „დედაკაცი“, **26 კომ.** სახ. (ზამთრის) — „სიმღერები და ცეკვები ბედნიერ საქართველოში“, **26 კომ.** სახ. (ზაფხულის) — „მთის ნაკადი“, **ორჯონიკიძის** სახ. პარკი — „არსენა“.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

საქსახესტრადის საზაფხულო თეატრი და ბაღი
პლეხანოვის პროსპ. 123. ტელ. 3-18-50

საზაფხულო თეატრი
სტალინგრადის მუსიკალური კომედიის თეატრის გასტროლები

20 აგვისტოს მე-3 აბ. მე-4 წარმ.
ქეთო და კოტე
მხ. ხელმძღვ. ი. ეროფეევი.

21 აგვისტოს მე-2 აბ. მე-4 წარ.
ცირკის პრინცესა
მთ. დირიჟ. დ. პალეი.

დასაწყ. საღ. 9 ს.

ყველა აბონემენტზე მესამე გადასახადი შეტანილი უნდა იქნას 20 აგვისტომდე.

ღია ესტრადა
20 აგვისტოს ბოშური რომანსების შემსრულებლის
ანტონინა ერემეევას უკანასკნელი საღამო.
21, 22 აგვისტოს **ჯაზ-აკორდეონის** გასტროლები როზენფელდის ხელმძღვანელობით.
დაწვრილებით აფიშებში. დასაწყისი საღ. 10 საათზე.

ბაღში უკრავს სასულე ორკესტრი ბახმანის ხელმძღვანელობით

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა საყურადღებოდ

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში სწავლა იწყება 2 სექტემბერს. ყველა სტუდენტსა და პროფესორ-მასწავლებელს ევალება დაუგვიანებლივ გამოცხადდეს ინსტიტუტში.

50 სამედიცინო ინსტიტუტის დირექცია

საქ. ექიმთა კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტი აცხადებს
კონკურსს პედიატრიული კათედრის გამგებლობაზე

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა წარმოდგენილ იქნეს:

1. განცხადება ინსტიტუტის დირექტორის სახელზე;
2. კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი;
3. ავტობიოგრაფია;
4. უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების დიპლომის ასლი სათანადო შემოწმებით;
5. მეცნიერულ ხარისხში—წოდებაში დამტკიცების დოკუმენტი;
6. საქმიანი და პოლიტიკური დახასიათება;
7. მეცნიერული შრომების სია;
8. მეცნიერული შრომები და მათ შესახებ რეცენზიები.

კონკურსის ვადა — 15 სექტემბერი

1120 ინსტიტუტის დირექცია

საქ. მინსახკომის ქ. წულუკიძის მექანიზაციის ტექნიკუმში
1940-41 სასწავლო წელს მიღების პირობები.

ტექნიკუმი ამზადებს საშუალო კვალიფიკაციის ტექნიკოს მექანიკოსებს. ტექნიკუმში მიიღებიან ორივე სქესის მოქალაქენი 15 წლიდან 30 წლამდე, რომლებმაც დაამთავრეს არასრული საშუალო სკოლის სრული კურსი.

შენიშვნა: ფრიადოსანი კურსდამთავრებულები ჩაირიცხებიან უგამოცდოდ.

მისაღები გამოცდები იწარმოებს შემდეგ საგნებში: 1. ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა—ზეპირი), 2. რუსულ ენასა და ლიტერატურაში (წერა—ზეპირი), 3. მათემატიკაში (წერა—ზეპირი), 4. ფიზიკურ გეოგრაფიაში, 5. ფიზიკაში და 6. სსრკ კონსტიტუციაში.

ტექნიკუმში შემსვლელთა განცხადებას თან უნდა დაერთოს შემდეგი საბუთების დედნები:

1. არასრული საშუალო სკოლის დამთავრების მოწმობა, 2. ჯანმრთელობის მოწმობა, 3. დაბადების მოწმობა, 4. სამხედრო სამსახურთან დამოკიდებულების მოწმობა და 5. ორი ფოტოგრაფიული სურათი (უქუდოდ) შემოწმებული სახელმწიფო დაწესებულების მიერ.

განცხადების მიღება სწარმოებს 25 აგვისტომდე. მისაღები გამოცდები იწარმოებს 25 აგვისტოდან 29 აგვისტომდე. სწავლა დაიწყება 2 სექტემბერს. ტექნიკუმში ჩარიცხული მოსწავლეები უზრუნველყოფილი იქნებიან ბინით, გათბობა-განათებით და სტიპენდიით (საერთო წესით). განცხადებების მიღება შეიძლება როგორც ადგილზე, ისე ფოსტით შემდეგი მისამართით: ქ. წულუკიძე, ლენინის ქ. № 83.

წულუკიძის მექანიზაციის ტექნიკუმის
150 დირექტორი მ. აბზიანიძე.

ხელმძღვანელი კომკავშირული ორგანოების არჩევნებთან დაკავშირებით

თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის ალკკ ორგანიზაციის ყველა წევრი

ვალდებულია გამოცხადდეს ინსტიტუტში პირველ სექტემბერს.

საქ. ალკკ სამედიცინო ინსტი-
51 ტუტის კომიტეტი

ქ. თბილისის რკინიგზების და ტროლეიბუსების სამმართველო

აცხადებს, რომ ა. წ. 16/VIII-დან

შეწყვეტილია

ტრამვაის ვაგონების და ტროლეიბუსების ღამის მოძრაობა
(ღამის 1 საათი და 30 წუთიდან).

80 სამმართველო

უახლოესი მეგობრები მარიამ გორგასანიძე, მარიამ ჩიხლაძე თანაგრძნობას უცხადებენ ნინო კვინიკაძეს მისი ძმის
შალვა კვინიკაძის
გარდაცვალების გამო. 7559

შვილი სანდრო, რძალი ბაბო, შვილიშვილები გოგი ცოლით ცაცათი, თამარ, მიშა, ქეთო, ვენერა იუწყებიან
მარიამ (მარიკო) ტაბახმელაშვილის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 20/VIII ს. კარდახაში. 7560

მამა ჩომო, დედა ლარისა იუწყებიან
პატარა ოთარ ფაჩულიას
გარდაცვალებას. დაკრძალვა ქ. ოჩამჩირეში პარიზის კომუნის, 47. 7555

ძმა სილოვან ცოლით აგრაფინათი, შვილებით ვანოთი, ვახტანგით, თამარით იუწყება
რაჟდენ როსტომის-ძე ბაბუნაშვილის
გარდაცვალებას. გამოსვენება 20/VIII 6 ს. ჩაისუბნის, 9, დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 7550

საქენერგოს ტექნიკური განყოფილების თანამშრომლები იუწყებიან ინჟინერ ილიკო კემულარიას დედის
პაშა ანტონის-ასულ კემულარიას
გარდაცვალებას. 7532

ეფროსინე გაბუნია შვილებით ლარისა, კოკი, ელიკო, გოგი ვახტანგ, ვალია და გოგი ქუთათელაძეები იუწყებიან დისა და დეიდის
პაშა ანტონის-ასულ კემულარიას
გარდაცვალებას. 7545

მშობლები მერი, კოსტა, ბიძები ეზეკია, ერემია გოგაძეები, მამიდა ლუბა, სიძე ერასტი მესხი იუწყებიან
პატარა გულიკოს
გარდაცვალებას. გამოსვენება ფალიაშვილის, 52, 20/VIII, 6 ს. ვაკის სასაფლაოზე. 7557

მეუღლე ბაბუცი, შვილები მერი, გუდალი, ნოდარ, ეთერი, ძმა ვალერიან, და პაშა კობახიძეები იუწყებიან, რომ 24/VIII ხეთაში (წობის რ.) დანიშნულია
ლავრენტი გიორგის-ძე კობახიძის
პანაშვიდი. 7558

მეუღლე სონა, მიშა ბარბაქაძე ცოლშვილით, ანეტა კოლომეიცევი შვილებით, თამარ გაბუნია ქმარშვილით იუწყებიან
საშა (ალექსანდრე) პართენის-ძე კიკნაძის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 20/VIII 7 ს. გამოსვენება 21/VIII 6 ს. გოგოლის, 49. 7562

მშობლები თალიკო, ვანო, ბებია მარიამ კახაძეები იუწყებიან პატარა
მარინეს
გარდაცვალებას. გამოსვენება 21/VIII 6½ ს. ივანიძის, 26, ვაკის სასაფლაოზე. 7534

ცოლი თეო, შვილები ალიოშა, ნინო იუწყებიან
რაჟდენ როსტომის-ძე ბაბუნაშვილის
გარდაცვალებას. გამოსვენება 20/VIII 6 ს. ჩაისუბნის 9. 7549

დედა გოგოლა, ბიცოლა მარო, ძმები ალექსანდრე, ნიკოლოზ, რძლები ანა, ოლია იუწყებიან, რომ 25/VIII ქ. სამტრედიაში დანიშნულის
აკაკი არჩილის-ძე გრიგოლიას
სამოქალაქო პანაშვიდი. 7550

უახლოესი ამხანაგები ვალოდია ორაგველიძე, აკაკი მდინარაძე ვალოდია დუდუჩავა იუწყებიან ნიკოლოზ მარგველაშვილის მამის
სიმონ მარგველაშვილის
გარდაცვალებას. 7551

ცოლი ეპრასია, შვილები ვლადიმერ, აკაკი, დავით, ანზორ, შუშანიკა, ვერა, რძლები გუგული, მარო, ნინო, შვილიშვილი ნუგზარ, ბაბუხადიები იუწყებიან
აფრასიონ ბაბუხადიას
გარდაცვალებას. 7552

ხოხლოვი, ქიქინაძე, ბაკურაძე, ჩიქოვანი, ჩოჩია, ცაგარელი, ასათიანი, ბერიძე, აბდუშელიშვილი, ჟღენტი იუწყებიან ნინო კვინიკაძის ძმის
შალვა კვინიკაძის
გარდაცვალებას. 7553

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაუსწრებელი პედსექტორის თანამშრომლები იუწყებიან ანიკო კოხრეიძის შვილის
ჯემალდი დავითაიას
გარდაცვალებას. დაკრძალვა ს. ონტოფოში. 7554

ოლია კიკალიშვილი, მენიკო ანჩაბაძე, ნინო შიქელაძე, მარო დადიანი, ლიპა ჩიჩუა და ვარლამ ჩიჩუა იუწყებიან მამიდაშვილის
პაშა კემულარიას
გარდაცვალებას. 7541

ამბერკი და ბაბუცა ტყეშელაშვილები იუწყებიან
რაჟდენ როსტომის-ძე ბაბუნაშვილის
გარდაცვალებას. გამოსვენება 20/VIII 6 ს. ჩაისუბანი 9. 7549

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი. ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3—08—67, პ.-მგ. მდივნის მოადგილისა — 3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის—3—57—61, პროპაგანდის და პრესის მიმოხილვის 3—81—84, სასოფლო-სამეურნეოს — 3—78—40, ეკონომიურისა და განათლება-ჯანმრთელობის — 3—80—83, ლიტერატურისა და ხელოვნების და ინფორმაციის—3—80—84, წერილების—3—73—24, პ.-მგ. მორიგის და გამომშვების—3—81—65, გამომცემლობის—3—51—81, სტამბის დირექტორის—3—77—70. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28. უე 1135